წელიწადი მესამე    ფასი 10 კ.    პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 27 მარტი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 10

## ჟურნალის შინაარსი

Ex oriente lux—მეთაური. ზოგი რამ ჩვენი ახლო წარსულიდან —**სტ. ელიაძე**; ორიენტაციის საკითხები—**ყარიბი**; ერთი იმტკივნეული საკითხის გამო—**ა. ვადაჭკორია**; ბორჩალოს მაზრ.—ინსტრუქტორის შთაბეჭდილებანი—**ს. გვიმრაძე**; ახალგაზრდობის საყურადღებოდ—**ნ. ელიავა**; პროფ. პეტრე მელიქიშვილი—**გრ. მარინელი**; პროფ. პ. მელიქიშვილის ხსოვნას—**ექ. გრ. კუნჭულია**; არტურ ლეისტი— **გრ. მა—ნი**; სამი მასწავლებლის განცხადება. ყოფილ ახ. მარქსისტთა განყოფილება: თურმე როგორ ვცდებოდით—**შ. გოგუა**; ახალი პროვოკაციით ვერ შეგვაშინებენ—**კ. კობახიძე**; საქართველოში ვერავის მოატყუილებთ—**რ. ჯალაღანია**; ლენინიზმი ერთად ერთი გზაა სოციალიზმისაკენ—**იასონ ურიდია**; საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობა—**ინჟ. კანდელაკი**; გუგულის ხმაზე—ლექსი—**ნ. ზომლეთელი**; ახალ ქვეყნის შენება—ლექსი—**თურდოსპირელისა**; საუბარი პროლეტარულ ხელოვნებაზე—**ივ. გომართელი**. წერილები პროვინციიდან.

# Ex oriente lux!

ძველი რომაელები ამბობდენ:—ex oriente lux სინათლე აღმოსავლეთიდან მოდისო.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთში მზე ამოდიოდა და ქვეყანას ნათელს უგზავნიდა. ამ აფორიზმის აზრი ის იყო, რომ აღმოსავლეთი, როგორც ძველი კულტურის აკვანი, ყოველთვის უგზავნიდა ყველა სხვა მხარეებს სულიერ საზრდოსა და სიბრძნეს. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ თვით ძველი საბერძნეთის უდიდესი კულტურა, რომლის გავლენიდან ჯერ კიდევ დიდხანს ვერ განთავისუფლდება კაცობრიობა, აღმოსავლეთიდან „მოსული სინათლით“ იყო გაშუქებული... აღმოსავლეთიდან იღებდა დღევანდელი ევროპის კაცობრიობა უდიდეს სიბრძნეს, როგორც რელიგიის, ისე ლიტერატურისა, და კულტურის სხვა სფეროებში.

დასავლეთი აღმოსავლეთის შეგირდი იყო. მაგრამ შეგირდმა აჯობა თავის მასწავლებელს; აღმოსავლეთი ჩამორჩა დასავლეთს. ის თითქოს გაიყინა, გაქვავდა ძველ ფორმებში და როგორც დაქანცული აქლემი ძველი მარაგის ცოხნით დაკმაყოფილდა.

დასავლეთმა ცუდად გადაუხადა მას თავისი დიდი ვალი: ევროპა არ დაკმაყოფილდა აღმოსავლეთიდან სულიერი კულტურის მიღებით, მან ტყავის გაძრობა მოუნდომა თავის მოხუცებულ მასწავლებელს...

ამაში ყველაზე მეტი უნარი ინგლისმა გამოიჩინა: მან დიდი ხანია რაც მიითვისა ინდოეთის ხალხის სიმდიდრე და მონობის უღელი დაადგა მას. ის თითქის მარტოო-მარტო ბატონობს ინდოეთში. მაგრამ ამასაც არ დასჯერდა. ის სხვა სახელმწიფოების იმპერიალისტებთან ერთად შეიჭრა ჩინეთში. ამ მტაცებლებმა წაართვეს ჩინეთის 400 მილიონ ხალხს არსებობის ყოველგვარი სახსარი, შეუბრალებლად სპობენ მის ძველ კულტურას, საფრთხეში აყენებენ მის ფიზიკური არსებობასაც კი.

დიდხანს ითმენდა ჩინეთის ხალხი იმპერიალისტური მტაცებლების მონობას. ბოლოს მას აევსო მოთმინების ფიალა და იარაღით ხელში გამოვიდა თავისი ნაციონალური სახის, თავისი ფიზიკური არსებობის, თავისი ბუნებრივი სიმდიდრის დასაცველად...

საკვირველი, პირდაპირ დაუჯერებელი ამბების მოწამენი შევიქენით. ჩინეთის რევოლიუცია! ჩინეთში სამოქალაქო ომი!... აბა ამას ვინ დაიჯერებდა, თუნდაც ხუთიექვსი წლის წინად? მაგრამ დღეს ეს ფაქტია! ჩინეთის ხალხმა დაახწია თავი სალათას ძილს, ის გაიმართა წელში, ერთის ხელის მოსმით გადააგორა საფლავის ლოდი, რომელიც მას დაადეს გულზე ყველა „განათლებული“ სახელმწიფოების მტაცებლებმა და დღეს იარაღით ხელში ავლებს მუსრს თავის შინაგან და გარედან მოსულ ჯალათებს.

რა თქმა უნდა, რევოლიუცია სხვისი კარნახით არ ხდება. რევოლიუცია ნაყოფია თვით სახელმწიფოში კლასთა შორის ძალთა განწყობილებისა, მათი ჭიდილის, მაგრამ ასეთ საქმეში კარგი მაგალითიც ძვირადა ღირს. წინა კაცი უკანასი ხიდიაო, ნათქვამია და რუსეთის ხალხებმაც ასეთი ხიდის როლი ითამაშეს ჩინეთის რევოლიუციის ისტორიაში. კიდევ მეტს ვიტყვით: რუსეთის რევოლიუცია უდიდესი სკოლა შეიქნა ჩინეთის ხალხის საუკეთესო ნაწილისათვის. რუსეთის რევოლიუციამ არა მარტო მორალურად გახადა შესაძლებელი ჩინეთის რევოლიუცია... მან გამოაღვიძა მონობის ჯაჭვებში ჩაჭედილი ჩინეთის ხალხი, მან გაუნათა მას სავალი გზა, მან ასწავლა ბრძოლის მეთოდი... დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ თუ არა წითელი ოქტომბერი, ჩინეთის რევოლიუციაც შეუძლებელი იქნებოდა...

დღეს გომინდანის ჯარების ხელშია მთელი ჩინეთის ორი მესამედი. რევოლიუცია წარჩინებით ვითარდება და, ალბათ, სულ მოკლე ხანში მთელი ჩინეთი გამარჯვებული ხალხის ხელში იქნება... ჩვენ ეს გვჯერა.

ჩვენ თაობას შეუძლია იამაყოს მითი, რომ ის ცხოვრობს ისეთ დროს, როცა ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ხალხები, რომლებიც ამდენს ხანს მორალურად მაინც ამართლებდენ მთელი მსოფლიოს კონსერვატიზმს, ასაზრდოებდენ მას, დღეს უკვე ჩაებენ რევოლიუციის ფერხულში,

რომ იმათაც კი რევოლიუციის ცეცხლს მისცენ ძველი ქვეყანა, და ეს ხომ უდიდესი ნაბიჯია სოციალიზმისაკენ გადადგმული?

თუ თვითონ ჩვენ, თუ რევოლიუციონერთა დღევანდელი — თაობა ვერ მოესწრება თავისი საბოლოო იდეალების განხორციელებას, ის იმედი მაინც უნდა ასულდგმულებდეს მას, რომ მისი დიდი მიზანის განხორციელების დღე მოახლოებულია.

ჩვენ,საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, კიდევ მეტი საბუთი გვაქვს ჩინეთის რევოლიუციით ვიამაყოთ, რადგანაც ამ უდიდეს რევოლიუციის ხანძარში ყველა ჩვენგანს აქვს შეტანილი თითო ნაპერწკალი, რადგან საბჭოთა კავშირმა უდიდესი წვლილი გაიღო ჩინეთის რევოლიუციისთვის.

ყველა ჩვენგანი მოვალეა თავის არსებით დაეხმაროს ჩინეთის რევლიუციას, იარაღით ხელში დაიცვას იგი.

ჩინეთის რევოლიუციამ კაცობრიობას ბევრი რამ ასწავლა. მან თვალცხადლივ დაანახვა ყველას, რომ **სინათლე** მართლაც აღმოსავლეთიდან მოდის. მან გააბათილა ის დებულება, რომელსაც კომუნისეტბს მისი მოსისხლე მტრები უყენებდენ:ნამდვილი რევოლიუცია და სოციალიზმი მხოლოდ განათლებულ ევროპაშია შესაძლებელი და არა ჩამორჩენილ ქვეყნებშიო. ჩინეთის რევოლიუციამ ერთხელ და სამუდამოთ დალეწა ეს ვითომდა მარქსის ლაბორატორიაში გამოჭედილი იარაღი. მან ყველას დაუმტკიცა ის უტყუარი ჭეშმარიტება რომ რევოლიუციას ახდენს და სოციალიზმის ინტერესებს ემსახურება არა განათლებული, მდიდარი და მაძღარი ხალხი, რომელიც ურევოლიუციოთა და უსოციალიზმოდაც თავს კარგადა გრძნობს, არამედ უბედური, პოლიტიკურად დამონებული, ყოველ უფლებას მოკლებული მშიერი ხალხი...

ძველმა რომაელებმა ერთი აფორიზმიც დაგვიტოვეს: როცა უკალეიგონი იწვის, მეზობლის სახლიც რიგში დგასო. ძველი ჩინეთი რევოლიუციის ცეცხლშია გახვეული. რიგში ინდოეთი დგას. ჩინეთის რევოლიუცია ინდოეთის ისტორიაში ითამაშებს ისეთ როლს, როგორიც ითამაშა რუსეთის რევოლიუციამ ჩინეთის ისტორიაში.

ეს ჩინებულად იცის ინგლისმა, ამიტომ არის, რომ ის ზარბაზნებით უმასპინძლდება თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთის ხალხს. ლამობს ჩააქროს ეს მისთვის საშინელი ხანძარი თვით ჩინეთში.

ამაო ცდაა! არ გაივლის სულ რამდენიმე წელიწადი და ინდოეთი გაყვება ჩინეთის გზას, ისიც იარაღით ხელში გამოვა თავის ადამიანური უფლებების აღსადგენად.

ეს კი მოასწავებს იმპერიალისტური ქვეყნებისა და პირველ რიგში მთელ დედამიწის ზურგზე უდიდესი მტაცებლის, უდიდესი პირატის, იმპერიალისტური ინგლისის დაღუპვას.

ჩინეთის რევოლიუცია უსპობს უკანასკნელ საყუდარს, უკანასკნელ თავშესაფარს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს.

მთელი ჩვენი რევოლიუციონური თანაგრძნობა, მთელი ჩვენი მატერიალური და ფიზიკური ძალ-ღონე ჩინეთის რევოლიუციას, ჩინეთის გმირ ხალხს!

დეე იცოდეს გულზვიადმა დასავლეთმა: ex oriente lux!

# ზოგი რამ ჩვენი ახლო წარსულიდან

„ახალი გზის“ მეშვიდე ნომერში ჩვენ შევეხეთ ზოგიერთ იმ მიზეზებს, რომლებიც საბაბი გახდა ჯერ ამიერკავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა; აღვნიშნეთ აგრეთვე იმპერიალისტურ სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოს ყოფილ მთავრობასთან.

დღევანდელი ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს საქართველოს გასაბჭოების შემდგომი პერიოდის მუშაობის დახასიათება ევროპაში გადახვეწილ ყოფილ მთავრობისა და ის იმედები, რომლითაც საზრდოობდა ანტისაბჭოთა პარტიები საქართველოში.

ჯერ კიდევ ბათომიდან წასვლამდის ნ. ჟორდანიამ დაუტოვა ქართველ ხალხს დირექტივა, რომ ეს უკანასკნელი არ დამორჩილებოდა საბჭოთა ხელისუფლების არავითარ განკარგულებას, რადგან მისი ნამდვილი მთავრობა იყო არა საბჭოთა ხელისუფლება, არამედ ნოე ჟორდანიას მთავრობა, რომელიც მოკლე ხნით სტოვებდა საქართველოს მიწა-წყალს და თავისი საქმიანობა გადაჰქონდა ევროპაში.

თუ რამდენად შეიძლებოდა ამ დირექტივის განხორციელება, ამაზე ყოფილ მთავრობის თავმჯდომარეს არაფერი უთქვამს.

ტრაპიზონში გავლის დროს ემიგრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, მართალია, ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეტოვებია საქართველო, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ ისევ დავბრუნდებით საქართველოშიო. რა თქმა უნდა მას მხედველობაში ქონდა ევროპის იმპერიალისტების დახმარება.

სტამბოლში ჩასვლისას დიდი ნაწილი ემიგრაციისა დარჩა ადგილობრივ, რომლებმაც თავშესაფარი იშოვეს მონასტერში, ხოლო მთავრობის წევრები და ზოგიერთი ლიდერები კი გაემგზავრენ საფრანგეთში, რათა აემხედრებიათ საზოგადოებრივი აზრი და კაპიტალისტური მთავრობები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სტამბოლში კი გამოიცა ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, რომლის ყველა ნომრები უმტკიცებდა ქართველ ხალხს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა ბეწვზე ეკიდა და მისი დამარცხება აუცილებელი იყო. ამასთანავე დიდი რიხით იყო მოთხრობილი, თუ როგორი ენტუზიაზმით სარგებლობდა ყოფილი მთავრობა ევროპის ყველა ქვეყნების როგორც მთავრობებთან, აგრეთვე დემოკრატიაში.

ამ წინასწარ გაცემულ თამასუქებს ქართველი ხალხისადმი „თავისუფალი საქართველოს“ კალმოსნების მიერ ესაჭიროებოდა განაღდება და აი ამისი დროც დადგა 1922 წლის დასაწყისში.

იტალიის პატარა ქალაქ კანნაში 22 წლის იანვარში შესდგა უმაღლეს საბჭოს კონფერენცია, სადაც გადაწყდა გენუაში მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია საბჭოთა მთავრობის მონაწილეობით.

იმ რეზოლიუციაში, რომელიც ხსენებულ კონფერენციაზე მიიღეს, მაშინდელ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ბრიანის წინადადებით, სხვათა შორის ეწერა: (მუხ. მე-5) „ყველა ერებმა უნდა ხელი აიღონ ისეთ პროპაგანდაზე, რომელიც მიმართულია სხვა ქვეყნებში არსებული წესწყობილების დასამხობად და სხვანაირ პოლიტიკურ სისტემის დასამყარებლად“. „ყველა ქვეყნებმა უნდა იკისრონ მოვალეობა, არ დაეცნენ თავიანთ მეზობლებს“. (მუხ. მე-6).

ამ რეზოლიუციის გამოქვეყნებამ საქართველოს არალეგალურ პარტიებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო, არის ნათქვამი და სწორედ ასე დაემართა ანტისაბჭოთა პარტიებსაც: ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ როდესაც გენუის კონფერენცია შეიკრიბებოდა, სადაც თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ეყოლებოდა საქართველოს ყოფილ მთავრობას, კონფერენცია ერთხმად მოსთხოვდა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანას და ამის შემდეგ ხომ თავის თავად გადაწყვეტილად მიაჩნდათ საქართველოს საკითხი. თუ რას იტყოდა ამის შესახებ საქართველოს მშრომელი ხალხი, ამაზე არავინ ფიქრობდა.

ეს „სანატრელი„ დღეც დადგა. შეიკრიბა გენუის კონფერენცია, მაგრამ მაში ოფიციალურად მონაწილეობდა არა **ყოფილი მთავრობის წარმომადგენელი**, არამედ **საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების** წარმომადგენელი ბუდუ მდივანის სახით. ყოფილი მთავრობის წარმომადგე-

ნელს კი არ მისცეს უფლება დასწრებოდა კონფერენციას.

ამ კონფერენციაზე, რა თქმა უნდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამთ საქართველოს საკითხზე. ევროპის იმპერიალისტურ მთავრობებს თავიანთი აწეწილი მდგომარეობის გამოსწორება უფრო აინტერესებდათ, ვინემ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ისინი ყოველნაირად ცდილობდენ საბჭოთა მთავრობა დაეთანხმებიათ იმ პირობებზე, რომელიც წარუდგინეს მას და რომლის მიღება ნიშნავდა ოქტომბრის რევოლიუციით მონაპოვარზე ხელის აღებას. ასეთ პირობებზე საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაეთანხმებოდა და კონფერენციაც უშედეგოთ დამთავრდა.

მერე რით ანუგეშეს თავიანთი მრევლი ევროპაში გადახვეწილმა ბელადებმა? მათ განაცხადეს, მართალია გენუის კონფერენციაზე არ დაისვა საქართველოს საკითხი, მაგრამ სამაგიეროდ ამ საკითხის დასმა გადაწყვეტილია ლოზანის კონფერენციაზე, სადაც უნდა გადასწყდეს აღმოსავლეთის საკითხიო. ზოგიერთ გულუბრყვილოს ესეც სინამდვილეთ მიაჩნდა. თუ როგორ „დაისვა“ საქართველოს საკითხი ლოზანის კონფერენციაზე, ეს მკითხველს კარგად მოეხსენება და მისი განმეორება ზედმეტად მიგვაჩნია. ეს საკითხი ლოღიკურად არც შეიძლებოდა დასმულიყო ამ კონფერენციაზე, ვინაიდან იქ ირჩეოდა საზავო პირობები ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის.

კონფერენციების ხანამ განვლო. ეხლა ჯერი მიდგა მეორე ინტერნაციონალის და კერძო მთავრობების დახმარების იმედზე.

22 წელშივე შესდგა მეორე და მესამე ინტერნაციონალების წარმომადგენელთა თათბირი ვითომდა საერთო ფრონტის განხორციელების მიზნით. აქ კი მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა ზოგადი ფრაზებით მოისურვეს „საქართველოს საკითხის“ გადაწყვეტა და ერთი წუთითაც არ სცდილან, მართლა გამოენახათ საერთო ენა მუშათა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად, რაც საუკეთესო გარანტია იქნებოდა ყველა დაჩაგრულ ერების განთავისუფლებისათვის. მეორე ინტერნაციონალის ლიდერები რა თქმა უნდა იმ ტოტს ვერ მოსჭრიდენ, რაზედაც თვითონ სხედან. ისინი ვერ დაუჭერდენ მხარს ყველა დაჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის საკითხს. ხსენებული თათბირიც უშედეგოთ დამთავრდა, მაგრამ მან ერთი ნაყოფი მაინც მოიტანა: ერთხელ კიდევ დარწმუნდა ევროპის მუშათა კლასი, რომ მეორე ინტერნაციონალის ლიდერებს მხოლოდ სიტყვის მასალათ აქვთ სოციალიზმი და ერთა თვითგამორკვევა.

ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ ანგარიშს უწევდენ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები ყოფილ მენშევიკურ მთავრობას. დავიწყოთ გერმანიიდან.

იმ დროს გერმანიაში მენშევიკურ პარტიას დიდი გავლენა ქონდა როგორც რეიხსტაგში, ისე მთავრობაში. პრეზიდენტათაც მენშევიკი ებერტი ბრძანდებოდა. ამის და მიუხედევად, გერმანიის მთავრობამ ყველაზე უწინ გააუქმა მენშევიკური მთავრობის საელჩო ბერლინში და მიიწვია საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლობა.

რისთვის მოიქცა ის ასე?

ამას უკარნახებდა საკუთარი ქვეყნის ინტერესები. ომში დამარცხებულ გერმანიას ესაჭიროებოდა რუსეთის დიდი ბაზარი და საქართველოს საკითხისათვის ის თავს ვერ შეიწუხებდა.

როგორღა მოიქცა მაკდონალდის მთავრობა ინგლისში?

მანაც არ დააყოვნა და იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირის მთავრობა, ხოლო საქართველოს ყოფილი მთავრობის დასამშვიდებლად ცნობის სიგელს დაუმატა სიტყვები: საბჭოთა ხელისუფლებას ვსცნობთ იქ, სადაც მას ხალხი სცნობსო. მოდი და გამოირკვიე აქ რომელ ხალხზეა ლაპარაკი.

შესდგა ორ სახელმწიფოთა შორის კონფერენცია სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. აქაც მაკდონალდის მთავრობა საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამოდიოდა და მენშევიკური მთავრობის მხარის დაჭერაზე სულაც არ უფიქრია.

მართალია, კონსერვატიულმა მთავრობამ მაკდონალდის მიერ დადებული შეთანხმება არ დაამტკიცა, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა მაინც ვერ გაბედა.

ასევე მოიქცა ერიოს მთავრობა საფრანგეთში, მანაც იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი და გამართა მის მთავრობასთან მოლაპარაკება. მართალია, საფრანგეთის მთავრობას ფორმალურად ჯერ არ გაუუქმებია საქართველოს ყოფილ მთავრობასთან ურთიერთობა, მაგრამ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა იმაში, ვითომც პუანკარეს დღევანდელ მთავრობას დიდათ შესტკიოდეს გული საქართველოს ბედზე, არამედ მისთვის ჯერ კიდევ საჭიროა ერთგვარ საფრთხობელად ყავდეს ეს მთავრობა, მანამდე, სანამ საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას მიაღწევდეს.

ცნობილია, რომ საფრანგეთის მთავრობას ყველაზე მეტი პრეტენზიები აქვს საბჭოთა მთავრობასთან და ამისათვის ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დაათმობინოს ამ უკანასკნელს, რისთვისაც მას ესაჭიროება ის ფიქცია, რომელსაც დღეს წარმოადგენს საქართველოს ყოფილი მთავრობა, ალბად საჭიროების დროს ის კიდევ გამოიყვანოს სცენაზე, თუ რამდენად მიაღწევს თავის მიზანს საფრანგეთის იმპერიალისტები, ამას ახლო მომავალში დავგანახვებს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მათი მიზნები უიმედოა.

ჩვენ აღარ მოვაწყენთ მკითხველს დანარჩენ პატარა სახელმწიფოების მთავრობებთან დამოკიდებულების აღნიშვნით. მით უმეტეს ეს არც დიდათ საინტერესოა.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ უკანასკნელათ ევროპაში დამარცხებულმა ყოფილმა მთავრობამ თავისი მუშაობის გეზი მიმართა ამერიკისაკენ, სადაც გაგზავნა ცნობილი აფერისტი ვასო დუმბაძე. თუმცა აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშაობაც ისეთივე მარცხით დასრულდება, როგორც ევროპაში წარმოებული საქმიანობა.

ყველა აქედან ერთი უკვე აშკარაა, პატარა ერების ინტერესების დამცველი არიან არა ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტები, არა მეორე ინტერნაციონალის ლიდერები, რომლებსაც ერთხელაც არ დაუყენებიათ სერიოზულად საკითხი დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების შესახებ, არამედ საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის მეთაურობით, რომელიც საქმით ახორციელებს ერების დამოუკიდებლობის და ეკონომიურ-კულტურულ წინმსვლელობის საქმეს.

აი, ამისათვის დავდექით ჩვენ საბჭოთა პლატფორმაზე და მივიღეთ კომუნისტური მსოფლმხედველობა.

ს. ელიაძე.

# ორიენტაციის საკითხი

## პატარა პასუხი დიდ შეკითხვაზე

იგივე კორესპონდენტი შემდეგ საკითხს გვიყენებს:

საბჭოთა კონსტიტუციაში სწერია:—„თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა შეინარჩუნებს უფლებას თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან“-ო. (მუხლი 4). საქართველომ რომ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა მოისურვოს დღეს გამოუშვებენ, თუ არა?“

ასეთ კითხვას გვიყენებს ჩვენი კორესპონდენტი და თანაც დასძენს:—„თქვენ, რა თქმა უნდა, ამაზე პასუხის მოცემას ვერ გაბედავთ, რადგანაც სიმართლის თქმას არ მოისურვებთ და კიდეც რომ მოისურვოთ, არ გათქმევინებენ, და მიკიბულ-მოკიბულსა და გადაკრულ-გადმოკრულ პასუხს კი ასეთ საკითხში გასავალი არ ექნებაო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ეს სულ უბრალო საკითხად მიგვაჩნია, მის შესახებ არავინ არ დაგვიშლის

სრულიად გულწრფელად ვილაპარაკოთ, სწორედ ისე, როგორც არავის არ დაუშლია დღემდე, გვეწერა და გველაპარაკა ისე, როგორც ამას ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა, ჩვენი პოლიტიკური სინიდისი გვიკარნახებდა. ჩვენ საზოგადოთ არ გვეხერხება გადაკრულ-გადმოკრული, ასე ვსთქვათ, ქარაგმებით წერა და ლაპარაკი და არც ამ შემთხვევაში მივმართავთ ჩვენთვის ასეთ უჩვეულო ხელობას.

მაშ გადავიდეთ პირდაპირ კითხვაზე.

ჩვენ რომ მოვისურვოთ, გაგვიშვებენ თუ არა დღეს კავშირიდან კონსტიტუციის დასახელებული მუხლის თანახმად?

ჩვენ გვგონია, რომ არ გაგვიშვებენ . და ჩვენც რომ ვინმე გვკითხავდეს, ჩვენც წინააღმდეგი ვიქნებოდით ასეთი „გაშვების“, კიდევ მეტი: ჩვენ მთელი ჩვენი არსებით შევებრძოლებოდით კავშირიდან გამოსვლის იდეას.

სახელმწიფოთა შორის კავშირი ერთობ დიდი და რთული საქმეა. კავშირში არავინ არ შედის ისე, თუ ეს მისთვის საჭირო არ არის. კავშირში შემავალი სახელმწიფოები, ალბათ, რაღაც დიდ საერთო მიზნებს ისახავენ, აყენებენ საერთო პროგრამას, რაც საერთო ძალით უნდა განახორციელონ. უამისოთ არა თუ სახელმწიფოების კავშირი, უბრალო სავაჭრო ამხანაგობაც კი შეუძლებელია.

ვთქვათ: ორმა ან რამდენიმე ფულის პატრონმა კაცმა გადასწყვიტეს სავაჭრო ან საწარმოვო ამხანაგობის დაარსება... ვთქვათ: გადასწყვიტენ დაარსონ ფაბრიკა ან ქარხანა. ააშენეს სახლი, დადგეს მანქანები, მოზიდეს ნედლი მასალა, დაიქირავეს მუშები და საქმეს შეუდგენ. ამ დროს გამოდის ერთი ამხანაგთაგანი და ეუბნება სხვებს: არ მსურს თქვენთან ყოფნა და მუშაობა, დამიბრუნეთ ჩემი ფულები და გამიშვითო...

როგორ გგონიათ: ასეთ ამხანაგს გაუშვებენ? არა. არ გაუშვებენ. მის მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ. ასეთ ამხანაგს არც ჩვენ გავანთავისუფლებდით... როგორ? ჩვენ ყველამ ერთად გამოვიმუშავეთ სამოქმედო გეგმა, დავისახეთ ერთი მიზანი, რომლის განხორციელებაც ჯერ კიდევ შორს არის. ჩვენ ერთმანეთის იმედით შევებით საქმეში. შენ კი გსურს, წახვიდე ჩვენგან და მით ამხანაგობა დააუძლურო. ეს საქმის ღალატია!.. ყველა დანარჩენ ამხანაგებს სრული უფლება აქვთ ასეთ ამხანაგს უთხრან:—მოითმინე, ჯერ დაწყებული საქმე დავაყენოთ, ჩვენი საერთო მიზანი შევასრულოთ და შემდეგ, თუ მოგესურვებათ, წაბრძანდით.

ასე მსჯელობს ანალოგიურ შემთხვევაში სავაჭრო ამხანაგობათა წევრებიც კი. და ეს სრულიად კანონიერი მსჯელობაა...

და თუ ეს ასეა, უფრო მეტი საფუძველი არა აქვთ ერთ კავშირში თავმოყრილ სახელმწიფოებს არ გაუშვან კავშირიდან თავისი მოკავშირეები და ასეთივე მოთხოვნილება წარუდგინონ მათ?

რა არის საბჭოთა კავშირი? რა მიზნებს ისახავს იგი?

ის საერთო ძალით ამაგრებს საერთო ფრონტს, აწყობს ყველა მოკავშირე რესპუბლიკების თავდაცვას, აწარმოებს აღმშენებლობით მუშაობას კავშირის მთელი მასშტაბით და იმავე დროს ემსახურება სოციალიზმის განხორციელების საქმეს, რაც უმთავრესია საბჭოთა კავშირისთვის.

ეს კავშირი წარმოიშვა იმ დროს, როცა კავშირის წევრი რესპუბლიკები გარემოცული იყვენ იმპერიალისტების ინტერვენციის რკალით. ყველა ეს რესპუბლიკები შეკავშირდენ ჯერ თავდაცვისა და მერე საბოლოო მიზნით, რაც შეადგენს ქვეყნად კაპიტალისტური ურთიერთობის მოსპობას და სოციალიზმის დამყარებას... ყველა ამ რესპუბლიკებშა ბოლოს და ბოლოს შეიგნეს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ერთობა და კავშირი ძალაა, რომ თვითეულად მათ ადვილად მოერევა ვერაგი მტერი, რომ საერთო ძალით ისინი ადვილად მიწვდებიან თავის დიად მიზანს...

აი ის ნიადაგი, რომელზეც შეკავშირდენ ეს რესპუბლიკები. აი ის მიზანი,რომელიც მათ დაისახეს თავის მოქმედებისა და ბრძოლის საგნად...

საბჭოთა ერთ დიდ კავშირში თავმოყრილმა რესპუბლიკებმა საერთო ძალით გაარღვიეს იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერვენციის რკალი, დაამარცხეს ძლიერი მტერი და შეუდგენ თავისი დიდი მიზნის განხორციელების საქმეს... მაგრამ მიზნამდე ჯერ კიდევ შორს არის.

საშიშროება დღესაც არსებობს. იმპერიალისტური სახელმწიფოები დღესაც ისევ ისე უთვალ-თვალებენ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს, ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე, ცდილობენ მათ დაშლას, მათ დამხობას. დღეს ქვეყანა ორ ნაწილად, ორი მოსისხლე მტრების ბანაკად არის გაყოფილი. ერთის მხრითაა დიდი კავშირი, მეორე მხარეზე—იმპერიალისტური ქვეყნები. დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს ამ ორ სამყაროს შორის. ორივე იმათ ერთსა და იმავე დროს არსებობა არ შეუძლია. ან უნდა დაეცეს და მოისპოს ერთი, ან მეორე...

მთელი ქვეყნის მშრომელთა და ტვირთ-მძიმეთა საბედნიეროდ ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირის გამარჯვების დღე არც ისე შორს არის, დღეს „ურწმუნო თომებიც“ კი ხედავენ, რომ ლენინს, თვით რევოლიუციის განხორციელებულ რკინის ნება ლენინს, არც ისე ფანტასტიური და შეუძლებელი მიზანი დაუსახავს საბჭოთა კავშირისთვის, როგორც ეს მის მტრებს ეგონათ. დღეს, ჩინეთის რევოლიუციის შემდეგ, ბრმა და ყრუ უნდა იყოს ადამიანი, რომ იჭვი შეეპაროს სოციალიზმის მოახლოებაში, მისი განხორციელების სრულ შესაძლებლობაში...

ასეთია დღეს მებრძოლ ძალთა განწყობილება... და ასეთ დროს ამ კავშირიდან გამოსვლაზე ლაპარაკი .არა თუ დამღუპველი იქნებოდა როგორც ყველა მისი შემადგენელი ნაწილებისთვის, ისე მთელი კავშირისთვის, იგი პირდაპირ მოღალატეობა იქნებოდა.ეს იუდას დანაშაული იქნებოდა როგორც თავის რესპუბლიკის წინაშე, ისე მთელი მშრომელი კაცობრიობის წინაშე...

მაგრამ მივუდგეთ საკითხს მეორე მხრიდანაც.

კავშირში ყოფნა, მისი წევრობა,—ეს უპირატესობა უფროა, ვიდრე მოვალეობა... კავშირი ისეთი ძალაა, რომელსაც ყველა ანგარიშს უწევს, რომელსაც ყველა ერიდება, ყველას ეშინია. ვინ მოერიდება დღეს კავშირის გარეშე მდგომ პატარა და სუსტ რესპუბლიკას? ჩვენ ხომ თვითონ განვიცადეთ თუ რა ანგარიშს გვიწევდენ ჩვენზე ძლიერი სახელმწიფოები, როცა ჩვენ „დამოუკიდებელი“, ოცდა ორი სახელმწიფოს მიერ ფაქტიურად და იურიდიულად „ცნობილი“ სახელმწიფო გვქონდა. ვინ იცის, რა დღეში იქნებოდა დღეს საქართველო, ის რომ საბჭოთა დიდი კავშირის წევრი არ იყოს. დარწმუნებული ვართ, ქართველ ხალხს დღეს აზიის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი სახელმწიფოს უღელი ედებოდა კისერზე, მისი ჭკუის მასწავლებლებად და განმანათლებლად დღეს მოლები იქნებოდენ... ქართველი ხალხის პოლიტიკურ ორგანიზმზე ასეთი ექსპერიმენტების ცდა ჩვენ ჩვენის თვალებით დავინახეთ. ამ მხრით ჩვენ ერთობ დიდი გაკვეთილი მოგვცა ისტორიამ და კიდევ მისი განმეორება ქართველი ხალხის დაღუპვა იქნებოდა... მწარე გამოცდილებამ ჩვენ აშკარად დაგვანახვა, რომ სანამ ჩვენ იმპერიალისტური სახელმწიფოებით გარემოცული ვიქნებით, ჩვენ უკავშიროთ, მარტო ჩვენი ძალ-ღონის მოიმედე არსებობა არ შეგვიძლია. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მისი ხსნა კავშირშია. მან უნდა იცოდეს, რომ ყოველთვის და ყოველგან, ისტორიის ყოველ ეპოქაში შეკავშირებულის ძალ-ღონით, ერთმანეთის დახმარებით უმკლავდებოდენ მოსულ მტრებს ყველა დღემდე არსებულ და ისტორიაში ცნობილი ერები.

სახელმწიფოების ურთიერთშორის კავშირის შექმნის მაგალითი ძველი ამბავია. ეს იცოდა ბაბილონმა, ძველმა საბერძნეთმა, ძველმა რომმა, ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბოლოს

საბჭოთა კავშირში... კავშირის შექმნის მიზეზი და მიზანი ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე იყო და არის დღესაც. როგორც კერძო ადამიანი, ისე ადამიანების კოლექტივები და სახელმწიფოები თავდაცვის მიზნით ყოველთვის და ყოველგან კავშირდებოდენ ხოლმე.

ბაბილონის ისტორია საუკეთესო მაგალითს იძლევა სუსტი და უძლური კოლექტივების ერთად შეკავშირებისა და ამ კოლექტივების მიერ სახელმწიფოსა და ნაციის გამოჭედვას.

ადამიანების ერთი კოლექტივი ესახლება მისთვის ხელსაყრელ და მოხერხებულ ადგილას. აშენებს ქალაქს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ თავის მოსახლეობის მთელ ტერიტორიას ავლებს გალავანს, რომელმაც ის უნდა დაიცვას მტრების თავდასხმის დროს... გადის დრო,—იქნება მთელი საუკუნოებიც,—მოდის მეორე კოლექტივი და, ალბად, პირველის ნებართვით, ესახლება იქვე აფართოებს ძველ ქალაქს, ამაგრებს მის ციხე-სიმაგრეს... დროთა განმავლობაში ამას ემატება მესამე, მეოთხე, მეასე და ასე ბოლომდე. ამნაირად იქმნება ერთი ქალაქი, ერთი სახელმწიფო.

აქ ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოს შექმნის პროცესს. მაგრამ აქვე ჩვენ გვაქვს საუკეთესო ნიმუში ამ სხვადასხვა კოლექტივების, სხვადასხვა, ალბათ, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე, ხალხების გაერთიანებისა, მათგან ერთი ნაციის გამოჭედვის პროცესი.

ამრიგად მოსალოდნელი უბედურება, მტრის თავდასხმის შიში ქმნის როგორც კერძო ადამიანებში, ისე მათ კოლექტივებში ერთად შეკავშირების, ერთ ციხე-სიმაგრეში თავის მოყრის და საერთო ძალით თავდაცვის საჭიროებას. ეს გარემოება აკავშირებს და ადუღებს ერთმანეთში ყველა კოლექტივებს. იგი ასუსტებს ცენტრიდან მსრბოლ ძალებს. აქ პირველ დროებში იყო ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა და ხშირად შეუძლებლადაც ხდიდა ამ უკანასკნელის განვითარებას. ეს მიზეზი რელიგია იყო. საქმე იმაშია, რომ ყოველ კოლექტივს თავისი საკუთარი ღმერთი ყავდა, თავისი საკუთარი კულტი ქონდა. ეს გარემოება კი საზღვარს უდებდა ამ კოლექტივების გაერთიანების, მათგან ერის შექმნის საქმეს. ამ სფეროში, ალბათ, დიდი ბრძოლა, დიდი შეხლა-შემოხლა და სისხლის ღვრაც სწარმოებდა კოლექტივებს შორის. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამ ერთ ბედ ქვეშ მყოფმა კოლექტივებმა აქაც მონახეს გამოსავალი. საერთო ინტერესების შეგნებამ მათ უკარნახა, თუ როგორ მოქცეულიყვენ: თუ ერთი კოლექტივის ღმერთი მამრობითი სქესის იყო და მეორე მდედრობითი—ასეთ შემთხვევაში ღმერთებს ცოლქმრობით შეაუღლებდენ და ამსახურებდენ ხოლმე. თუ ორივე კოლექტივის ღმერთი მამრობითი სქესის იყო, უმცროსს-უმფროსს აშვილებდენ ხოლმე... და ეს გარემოება, ესე-იგი ერთი ღმერთის იდეის განმტკიცება საუკეთესო საშუალება იქნებოდა სხვადასხვა კოლექტივების ურთიერთ შორის მოსარიგებლად და რელიგიოზურ ნიადაგზე უკმაყოფილების მოსასპობათ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბაბილონში მობინადრე ყველა კოლექტივების გაერთიანებას, ერთი ნაციის შექმნის საქმეს, ყველა იმათგან ერთი სახელმწიფოს შექმნას.

იმავე მიზეზებმა წარმოშვეს და იმავე მიზეზს ემსახურებოდა ძველი საბერძნეთის დიდი ამფიკტიონია... არც აქ იყო დავიწყებული რელიგიოზური მოტივებიც. ალბად, ძველი საბერძნეთის მრავალი ღმერთები, რომლებსაც ბოლოს გაერთიანებულმა საბერძნეთმა პარნასის მთაზე მოუყარა თავი, სულაც არ ცხოვრობდენ ერთად. თვითოეული იმათგანი ცალ-ცალკე კოლექტივის, სხვადასხვა ხალხების სალოცავი ღმერთები იყვენ. მაგრამ ერთი ინტერესებით, თავდაცვისა თუ სხვა მიზნებით, გაერთიანებულმა კოლექტივებმა დაასახლეს ერთად, ერთ პარნასზე, ეს კი იმ დროს, როცა ადამიანებს ულმერთოთ, უკერპოთ არსებობა ვერ წარმოედგინათ, თვით ამ ადამიანების კოლექტივების ერთმანეთში მორიგებას, მათგან ერთი ძლიერი ერის გამოჭედვას მოასწავებდა...

აი როგორი პროცესი უძღოდა წინ საბერძნეთის ტერიტორიაზე მობინადრე ხალხების ერთ სახელმწიფოთ გაერთიანებას, მათგან ერთი მთლიანი ბერძნების ერის, ერთი ტიპის შექმნას.

ასეთივე იყო რომის სახელმწიფოს შექმნისა, რომაელის ტიპის დამუშავებისა და ჩამოყალიბების პროცესი.

და თუ ამას ახერხებდენ ძველად ნახევრად ველური ხალხები, თუ ისინი კი ახერხებდენ ერთ კავშირში ყოფნას, თუ ისინი ამ იდეიას უქვემდებარებდენ თვით რელიგიას, თვით ღმერთების არსებობის საკითხებსაც, ურომლისოდაც იმ დროს თავი ვერ წარმოედგინათ, რა უნდა ქნან დღეს განათლებულმა ხალხებმა, როცა მათ ხელს ვერ შეუშლის რელიგიოზური მიზეზები? როცა მათ არც ღმერთების დაქორწინება სჭირდებათ და არც მათი სხვა რამე გზით დანათესავება?

დღეს ასეთი კავშირები სულ ადვილად ხდება, ამის ჩინებული მაგალითი ასორმოცდა ათი წლის წინად მოგვცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მტრების თავდასხმის შიშმა წარმოშვა ეს დიდი კავშირი. თავდაცვის მიზნით შეკავშირდენ ეს შტატები. 1776 წელს ამერიკის ცამეტმა კოლონიამ მოაწყო კონგრესი, რომელმაც გამოაქვეყნა „დამოუკიდებლობის“ დეკლარაცია. დღეს 48 შტატისაგან შესდგება ამერიკის ეს კავშირი. მათ უკვე იგემეს საერთო ძალით, ერთი კავშირით ცხოვრებისა და მოქმედების დიდი მნიშვნელობა, გაჭირვებამ, მტრის შიშმა დაანახვა მათ, რომ ძალა ერთობაშია. ამიტომ არის, რომ დღეს იქ კავშირიდან გამოსვლაზე ფიქრიც კი არავის არ გაუვლის თავში... ამიტომ არის, რომ დღეს ამერიკის შერთებული შტატები ყველაზე უფრო ძლიერი სახელმწიფოა, როგორც მატერიალურად, ისე ფიზიკური ძალებითაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგი საქართველოსავით პატარა შტატებიც შედიან. მაგრამ აქ სუსტ შტატებს სულაც არა აქვთ იმისი შიში, რომ მის ინტერესებს დიდრონი და ძლიერი შტატები დაჩრდილავენ. სრულიად პირიქით: ეს პატარა შტატები ისევე კარგად გრძნობენ თავს, როგორც ყველა დიდი შტატები, რადგანაც კავშირი მათ სრულ შესაძლებლობას აძლევს როგორც ეკონომიური, ისე სულიერი განვითრებისათვის და იმავე დროს ისინი უზრუნველყოფილი არიან გარეშე მტრებისაგან.

ასეთ მაგალითს ვხედავთ ჩვენ დღეს უალრესად ბურჟუაზიულ, უაღრესად იმპერიალისტურ სახელმწიფოში. რატომ არ უნდა იყვენ მისი წევრებათ საერთოდ პატარა სამაშ რატომ არ უნდა არსებობდეს საბჭოთა კვაშირი, რახელმწიფოები და კერძოდ საქართველო?

— იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის წევრობა საქართველოს მოუსპობს მის ნაციონალურ სახეს. საბჭოთა კავშირში შემავალი ველიკოროსები, რომლებიც მთელი კავშირის 44,31 პროც. შეადგენენ, გაარუსებენ ქართველებს, სომხებს და სხვა პატარა ერებს. ეს ისეთი ძალაა, რომელიც ადვილად შესძლებს ყველა სხვა ერების ასიმილიაციასო.—გვეუბნება ჩვენი კორესპონდენტები.

ამის მთქმელს ბევრი რამ ავიწყდება, იგი ბევრ რამეს არ უწევს ანგარიშს... მას ავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირი სოციალისტურ ნიადაგზე დგას, რომ იგი ამ ნიადაგს ვერ მოშორდება. ეს გარემოება კი თავისთავად გულისხმობს შოვინიზმის ალაგმვას, ნაციონალური საკითხის კანონიერად, წმინდა სოცილისტურად გადაჭრას. საბჭოთა კავშირში სრულიად ბუნებრივად უნდა გადაწყდეს ნაციონალური საკითხი, რომელიც ყოველთვის და ყოველგან შეადგენდა უდიდეს საკითხს. უამისოდ საბჭოთა კავშირის არსებობა შეუძლებელია, უამისოდ მას ფეხთ ქვეშ ნიადაგი აღარ ექნება, მას გამოეცლება ის კვარცხლბეკი, რაც ასე ამაღლებს მას მთელ ქვეყანაზე, რაც მას ხდის მთელი ქვეყნის მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა იმედათ, მათ მოსარჩლედ, მათ ბელადათ.

„პროლეტრებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!—ასეთი მცნება დაუდეს მარქსმა და ენგელსმა პროლეტარიატს. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ეს ლოზუნგი ასე გადააკეთა:—პროლეტარებო დ ჩაგრულო ერებო ყველა

**ქვეყნისა, შეერთდით!**“. ამ რიგად ჩაგრულ ერების ინტერესები ისევ მაღლა დააყენა, როგორც პროლეტარიატის ინტერესები. ლენინმა ეს ასე დაასაბუთა:—რა თქმა უნდა, კომუნისტური მანიფესტის თვალსაზრისით ეს სწორი არ არის... კომუნისტური მანიფესტი დაწერილია სულ სხვა პირობებში... დღევანდელი თვალსაზრისით ეს მართალია... ჩვენ გამოვდივართ ახლა არა, როგორც მთელი ქვეყნის პროლეტარიატის წარმომადგენლები, არამედ როგორც დაჩაგრულ ერების წარმომადგენლებიც“. (იხ. Ленин. Полное собр. соч. т. XVII стр. 394—395.

აი, რა სწერია დღეს მესამე ინტერნაციონალის დროშაზე. საბჭოთა კავშირი, კომუნისტური ხელისუფლება ვერ უღალატებს ამას. და თუ უღალატებს, მაშინ ის უღალატებს ლენინს, უღალატებს სოციალიზმს, ის თავისი ხელით მოიკლავს თავს...

ჩვენ დღეს ყოველ ფეხის გადაგმაზე ვხედავთ, რომ კომუნისტური ხელისუფლება ცდილობს ამ უდიდესი დევიზის ცხოვრებაში გატარებას... რა მიზანი უნდა ჰქონდეთ მათ, როცა იმათ ისტორიის წიაღიდან ამოყავთ სრულიად პატარა ერები და შველიან მათ მათი სრულიდ გამქრალი ნაციონალური კულტურისა და ნაციონალური სახის აღდგენის საქმეში? რატომ უნდა მოსპოს ქართული ენა, ქართული კულტურა, ქართველი ერის ფიზიონომია კომუნისტურმა ხელისუფლებამ, რომელიც ეხმარება ოსებს, აფხაზებს და სხვა ქართველებზე გაცილებით უფრო სუსტ ერებს მათი კულტურისა და ნაციონალური სახის აღდგენაში?

რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ყველა ჩვენ რესპუბლიკებში არა მეგობრულ ურთიერთობას,არა კავშირს,არამედ ხელჩართულ ომებს და მათ მიერ ერთმანეთის ჟლეტას დავუშვებთ მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ველიკოროსები, რომლებიც დღეს მთელ კავშ.44,31%შეადგენენ,ადვილად მოერევიან 17,81% უკრაინის ხალხს და კიდევ უფრო ადვილადქართველ—ხალხს, რომელიც იმავე კავშირის მხოლოდ 0,60% შეადგენს... მაგრამ, — მადლობა სოციალიზმს!—ჩვენ ერთმანეთში კავშირი გვაქვს და არა ხელჩართული ომი. ჩვენ ერთმანეთს კი არ ვებრძვით, ჩვენ საერთო მიზნებს ვემსახურებით, საერთო მტერს ვებრძვით.

მაშასადამე, რა შეუძლია ჩვენს კავშირში ყველაზე უფრო დიდრიცხოვან ველიკოროსის ერს, როგორ უნდა მოახდინოს მან ასიმილიაცია თუნდაც ყველაზე უფრო სუსტი რესპუბლიკისაც კი, როცა ეს უკნასკნელიც ისეთივე სრულუფლებოვანი წევრია საბჭოთა კავშირისა, როგორც პირველი?.. აქ შეიძლება მხოლოდ კულტურული გავლენა, კულტურული ასიმილიაცია. დასაშვებია, რომ პუშკინისა და ტოლსტოის მშობელი ერი მართლაც მოახდენს დიდ გავლენას, მართლაც დაიმორჩილებს კულტურულად ტატ-რესპუბლიკას ან იაკუტის ავტონომიურ ოლქს, ზირდანების რესპუბლიკას და ჩუვაშების ავტონომიურ ოლქის მცხოვრებლებს. ჩვენ ეს სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია. ჩვენ წინააღმდეგი ვართ მხოლოდ ძალდატანებითი ასიმილიაციისა, ესე—იგი ისეთის, როგორიც მოახდინა რომმა: ოციოდე მაღალკულტუროსან ერებს იარაღით ხელში, ცეცხლითა და მახვილით, მოახვია თავზე თავისი პოლიტიკური და კულტურული გეგემონია. ჩვენ ვებრძოდით და ვებრძვით ასიმილიაციას, როგორსაც 117 წლის განმავლობაში აწარმოებდა ჩვენში თვითმპყრობელი რუსეთი. მაგრამ რა შეიძლება გვქონდეს ბუნებრივი ასიმილიაციის წინააღმდეგი? ასეთი ასიმილიაცია ყველა ერში ხდება და უნდა ხდებოდეს. უამისოთ ერის განვითარება შეუძლებელია. დღეს არც ერთი ერი,—თვით ყველაზე უფრო ძლიერი ერიც კი,—არა გავს იმას, რასაც იგი ორასი წლის წინათ წარმოადგენდა.

ჩვენ სრულიადაც არ გვაშინებს ასეთი ბუნებრივი ასიმილიაცია.

ახლა ჩვენ ვეკითხებით ჩვენს მრისხანე კორესპონდენტს: თუ ქართველმა ხალხმა გაუძლო თვითმპყრობელობის ძალმომრეობას, თუ მან ხელუხლებლად შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე, მაშინაც კი, როცა მას ცეცხლითა და მახვილით აწამებდენ, როცა მის კულტურას მიწასთან ასწორებდენ ერმოლოვები,კოტლიარევსკები და სხვა ასეთი გენერლები, რა უნდა გაუჭირდეს, რისი უნდა ეშინოდეს მას საბჭოთა კავშირში, რომელშიაც ის აღჭურვილია ისეთივე უფლებებით, როგორც იმავე კავშირის ყველაზე უფრო რიცხვმრავალი წევრი?

**ყარიბი.**

# ერთი მტკივნეული საკითხის გამო

გულახდილად უნდა ითქვას, საქართველოს გასაბჭოების პირველ წელიწადს დამყარებული ხელისუფლების წინააღმდეგ საკმაოდ აღმოჩნდნენ უკმაყოფილო ელემენტები ჩვენში მომქმედ თითქმის ყველა პოლიტიკურ ფენებში.

ამ მტრული განწყობილების უმთავრესი მიზეზი იყო საქართველოს მენშევიკური პარტიისა და დემოკრატიული მთავრობის ოფიციალური და არა ოფიციალური ინფორმაცია, რომლითაც რამოდენიმე წლის განმავლობაში იკვებებოდა საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას რომ მენშევიკურ პარტიასა და მთავრობას თავის მოღვაწეობის არც ერთ დარგში არ გამოუჩენია იმდენი ნიჭი და უნარი, რამდენიც გამოიჩინა მან არსებობის დროს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში...

როგორი აღმოჩნდა საბჭოთა ცხოვრების სინამდვილეში ბოლშევიკური ბუნება და რა ზომები დაუპირდაპირა მმართველმა პარტიამ ხალხის ამ მოწამლულ გონების განსაკურნავად? საბჭოთა მთავრობის მუშაობა ამ მიმართულებით მეტად ბრძნული, გაზომილი და მიზანშეწონილი აღმოჩნდა.

ჩვენ ვიცით რუსეთის სამოქალაქო ომები, ვიცით სამხედრო კომუნიზმის მეთოდებით წარმოებული ბრძოლა საბჭოთა სხვადასხვა რესპუბლიკებში. მაგრამ ჩვენ არ ვიცით იგივე სამხედრო კომუნიზმი. გასაბჭოებულ საქართველოს ტერიტორიაზედ. ჩვენ არ გვიხილავს მსგავსი რამ „საშინელება“ საბჭოთა ლაშქრის შემოსვლის ხანებში.—მენშევიკების მიერ მოწამლულ საქართველოში პირდაპირ გაკვირვებას იწვევდა მათი სიმშვიდე, წეს-რიგი და უაღრესი კაცთ მოყვარეობა. რაც სხვათა შორის დამტკიცდა კიდეც მენშევიკებსა და მათს შორის წარმოებულ იმ უთანასწორო ბრძოლის დროს, სადაც შესაძლებელი იყო საქართველოს მცირე რიცხოვან სამხედრო ძალების საგრძნობი დაზიანება და სადაც სიფრთხილით დაშეძლებისდაგვარად იზოგებოდა თვითეული ქართველი ჯარისკაცის ფიზიკური სიცოცხლე.

კომუნსტებს არც შეეძლოთ სხვაფერ მოქცევა. აქ როდი იყო შავრაზმული კონტრრევოლიუცია. აქ იბრძოდა საქართველოს რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელიც დროთა პოლიტიკურმა ბრუნვამ და თავზედ დამტყდარ მრავალმა საბედისწერო ჰირობებმა, თავის გადარჩენის მწვავე ინსტიქტმა, უკარნახა მას თავის ეროვნულ ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილიყო რევოლიუციონურ მთლიან ოჯახს განშორებოდა.

ალბად ასე ფიქრობდა ლენინი, რომელიც თავის პირველ დეპეშაში გასაბჭოებულ საქართველოს მთავრობას ურჩევდა: **„საქართველოში საქმისადმი რუსული მიდგომა არ გამოდგება“-ო...** საბჭოთა ხელისუფლებამ თავის დამყარების პირველი დღიდანვე შეეცადა მის წინააღმდეგ მენშევიკების მიერ გავრცელებული ყოველგვარი ჭორები ბოლშევიკურ „კაციჭამიობის“ შესახებ ხილული ფაქტებით, თავის საქმიანობით გაებათილებია.

გვეუბნებოდენ: რუსეთში ყველაფერი ისპობა, ნადგურდება, და არაფერი იქმნებაო. საბჭოთა ცხოვრების სინამდვილემ კი სულ წინააღმდეგი გვიჩვენა.

გადაავლეთ თვალი ახლად დაარსებულ ფაბრიკა-ქარხნებს, სხვადასხვა სამრეწველოებს, საელექტროფიკაციო მუშაობას, გაეცანით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად მთავრობის მომავალ მუშაობის გეგმებს, დასახულ მიზნებს, შეადარეთ დღევანდელი უნივერსიტეტი წარსულს, გადახედეთ ციფრებს და თვითონვე დარწმუნდებით თუ რამდენი ათეული პროცენტით გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების ხელში ჩვენი სკოლების მასწავლებელ-მოსწავლეთა რიცხვი, რამდენი სამეცნიერო დაწესებულებანი დაარსდა ამ მოკლე ხნის განმავლობაში. ინახულეთ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოფენა, დაითვალეთ რამდენი წიგნი გამოიცა საქართველოს გასაბჭოების პერიოდში და შეადარეთ მათი რიცხვი მენშევიკების დროს გამოცემულ წიგნების საერთო რიცხვს. აიღეთ მიწის რეფორმის ისე გატარება, როგორც ამას მოითხოვდა ჩვენი გლეხის სასიცოცხლო ინტერესები. მოიგონეთ მეზობლებთან მტრული განწყობილება, და მათ შორის ატეხილი სისხლის მღვრელი დაუსრულებელი ომები და შეადარეთ დღეს არსებულ ამიერ-კავკასიის ერთა მშვიდობიან განწყობილებას, რომელიც დამყარებულია სოლიდარობაზე, ძმურ და კეთილმეზობლურ კავშირის ურყევ საფუძვლებზე.

**ეროვნული საკითხი**—ეს უაღრესად მტკივანი და რთული ამოცანა, რაც უფრო აღელვებდა ზოგიერთ „სოციალ-პატრიოტებს“,—რა მდგომარეობაშია დღეს? პოლიტიკურად ბეცი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს დამოკიდებულების სრული სახე, მისი სუვერენობის დამადასტურებელი ატრიბუტები.

ვინ არ იცნობს საბჭოთა კონსტიტუციას, ვინ არ იცის საბჭოთა ყრილობების, მთავრობის და სხვა ცენტრალურ ორგანოების დადგენილებანი და აქედან გამომდინარე შემდგომი სისტემატიური განკარგულებანი ჩვენი დაწესებულებეთა **სრული და გადაუდებელი გაეროვნების შესახებ?**

და თუ ჯერ კიდევ სავსებით არ არის განხორციელებული ეს თითით საჩვენებელი, ყველასათვის საჭირბოროტო საკითხი,— ამაში ბრალი მიუძღვის არა ხელისუფლებას, არამედ ზოგიერთ დაწესებულებათა იმ **წვრილფეხა** ჩინოვნიკებს, რომელნიც ჯერ კიდევ გაჟღენთილნი არიან ძველი „დერჟიმორდული“,—რუსიფიკატორული შოვინიზმით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ვაჟბატონებს არაფერი სცხიათ სოციალისტური, არაფერი აქვთ საერთოდ ინტერნაციონალიზმთან, რომ ეს ხალხი დახმარების მაგიერ ხელს უშლის მთავრობასა და მმართველ პარტიას დასახულ მიზნის უმტკივნეულოდ და სავსებით გატარების საქმეში, ზემო ნათქვამის დასამტკიცებლად ჩვენ აქ მოვიყვანთ მრავალთაგან ერთს მეტის მეტად თვალსაჩინო ფაქტს:

აქციონერული საზოგადოება „**საქართველოს ჩაი**“-ს გამგე ემუდარება ვისაც ჯერ არს: **მომეცით საქმის წარმოების ნება რუსულ ენაზეო**“.

ვკითხულობთ: რატომ, რისთვის, ნუ თუ ამას მოითხოვს წარმოების ინტერესები? ნუ თუ გურიისა და ჩაქვის გლეხობისათვის, რომელთაც აქვთ ჩაის პლანტაციები, საჭიროა საქმის წარმოება მათთვის სრულიად გაუგებარ უცხო ენაზე? ან იქნებ ეს ხდება იმიტომ რომ ეს საჭიროა ჩაის წარმოების უცხოელ სპეცებისათვის? ან იქნებ არ შეგვიძლია ჩვენი საკუთარი ტეხნიკური და სპეციალური ძალებით ჩაის წარმოება?

ჩვენ არ ვიცით რა პასუხს მივიღებთ აქ დასმულ კითხვებზე „საქართვ. ჩაი“-ს ადმინისტრაციისაგან, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ მან თავის ამგვარ შუამდგომლობაზე კატეგორიული უარი მიიღო.

ჩვენ ისიც ვიცით რომ ჯერ კიდევ გასულ წელს ამხ. ს. ორჯონიკიძის ფიცხელი განკარგულებით აღნიშნულ საზოგადოების გამგე მოხსნილ იქნა თანამდებობიდან, როგორც ურჩი კანონის შესრულებისა და გაეროვნების გატარების საქმეში.

ვიცით განმეორებითი და სასტიკი ბრძანებაც **ზევიდან საქმის წარმოების ქართულ ენაზე** გადასვლის შესახებ. ერთი წელია მას შემდეგ, მაგრამ მდგომარეობა ოდნავადაც არ შეცვლილა, და არც თუ შეცვლილა, იდევნება კიდეც ყველა ადგილობრივი მკვიდრნი, ვინც კი გაბედავს და ამ საზოგადოებაში გაეროვნების კანონის გატარების სურვილს გამოსთქვამს. რას უნდა მიეწეროს ეს თუ არა იმას, რომ ამ ვაჟბატონებს, ალბად სურვილი აქვთ სახელი გაუტეხონ საბჭოთა ხელისუფლებას და მიტომ აწარმოებენ ასეთ პოლიტიკას. უამისოდ ძნელი გასაგებია თუ რატომ უვლიან გვერდს კანონს, რატომ აძლევენ საბუთს ხალხს, რომ ხელისუფლებას არ სურს მისი ინტერესების დაცვა... საბჭოთა ხელისუფლება მთელი თავის ძალღონით ებრძვის შოვინიზმს, საიდანაც და რა სახითაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის, და შოვინიზმის ყველა მთესველებმა უნდა იცოდენ რომ მათი ასეთი „**მოღვაწეობა**“ არ დარჩება დაუსჯელად

აღსანიშნავია რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ თავისუფალი ასეთი „მოღვაწეებიდან“, მარტო „ასქართველოს ჩაი“-ს ხელმძღვანელები—კი არ უწევენ საბჭოთა ხელისუფლების ასეთ „სამსახურს“, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ მალე, სულ მალე იქნება მიღებული გადამჭრელი ზომები ასეთი სიმახინჯის აღსაკვეთად და ასეთი მოღვაწეების ასალაგმავად...

არ კმარა მარტო სკოლების გაეროვნება, იგივე პრინციპი უნდა იყოს გატარებული საბჭოთა ყველა აპარატებში. ყველგან და ყოველთვის საქმის წარმოება უნდა იყოს ხალხისათვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე... და ჩვენ ვიცით რომ მთავრობა და მმართველი პარტია ფხიზლად მუშაობს ამ მიმართულებით და არ მისცემს გასაქანს „ველიკოდერჟავნიკებს“. ეს მით უფრო საჭიროა ამ შემთხვევაში, რადგანაც ამ პატარა „ჩინოვნიკების“ მიერ დაშვებული პაწია შეცდომაც—კი მძიმე არტილერია იქნება საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის, რომლებიც დაშვებულ სრულიად უმნიშვნელო შეცდომებსაც—კი ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ დიდ ხელმოსაჭიდებელ საბუთად იყენებენ.

ა. ვადაჭკორია.

# ბორჩალოს მაზრა

## (ინსტრუქტორის შთაბეჭდილებიდან)

5 მარტს სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორები ამხ. ხრისტას სოფიანიდი და მიშა ყაზარიანთან ერთად გავემგზავრეთ სოფელ გომარეთში, სადაც გადაწყვეტილი გვქონდა კრების მოწყობა. მაგრამ გზების გაფუჭების გამო ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ სოფელში გადასვლა. იძულებული შევიქენით პირველად კრება ჩაგვეტარებია სოფ. კალამშაში და მიჯაში. ჩვენი მიზანი იყო ყოფილ მენშევიკთა კრების მოწვევა და მართლაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. კრებას ვიწვევდით ადგილობრივ სკოლის დარბაზში, და უკვე 5 საათისათვის დარბაზი სავსე იყო ხალხით. მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობაზედ გამოვიდა ამხ. გვიმრაძე, რომელმაც გააცნო დამსწრე საზოგადოებას, როგორც საერთაშორისო მდგომარეობა ისე აქ, საქართველოში, ახალი ავანტიურის სამზადისი. კრებაზე დამსწრე საზოგადოება ძალზე აღელვა ახალი ავანტიურის მზადებამ და იქ გამოსული გლეხები გულის ტკივილით იგონებდენ წარსულ 24 წ. აგვისტოს ავანტიურას და დასძენდენ, რომ თუ კიდევ ვინმე შეეცდება ახალი ავანტიურის მოწყობას ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით ასეთი სისაძაგლის წინააღმდეგო, გამოტანილ იქმნა შესაფერისი რეზოლიუცია.

ამ კრებაზედ მომხსენებელს შევეკითხენ: მართალია თუ არა, რომ ბორჩალოს მაზრა ნახევარი აზერბეიჯანს უნდა შეუერთდეს და ნახევარი სომხეთსო? მომხსენებელმა განუმარტა, რომ ეს არის პროვოკაცია და არაფერი ასეთი სინამდვილეში არ შეიძლება იქნესო.

ეს ხმები ძალიან არის გავრცელებული მთელ მაზრაში. ქართველობა დიდი და პატარა სულ ამაზე ლაპარაკობს. განმარტების შემდეგ ისენი დარწმუნდენ რომ, ეს არის პროვოკაცია მოწყობილი საბჭ. ხელისუფლების მტრების მიერ. რა არის იმის მიზეზი, რომ ასეთი პროვოკაცია იკიდებს აქ ფეხს? ამის მიზეზი ის არის, რომ არც ერთ ქართულ სოფელში არ არის ქოხ-სამკითხველო; კოოპერაციაზე და სხვა რამეზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. 25 სოფელში ვერ ნახავთ ერთ კოოპერატივს და ვერც რაიმე კულტურულ ორგანიზაციას—გარდა რამოდენიმე სკოლისას. და სწორედ აქ მოეპოება მოწინააღმდეგეს საუკეთესო ნიადაგი იმისათვის, რათა სთესოს ასეთი პროვოკაცია. საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ალბად მიუგნიათ კიდეც ჩვენი სუსტი ადგილისთვის და ათასგვარი ჭორები უვრცელებიათ აქ. როგორც თითონ სამაზრო კომიტეტის მდივანმა ამხ. გაპალოვმა გვიამბო, მათ არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ ქართულ სოფლებში, რადგან **არ ყოფილა ქართული ენის მცოდნე ხალხი—კომიტეტში.** ამას გლეხებიც აქცევდნენ ყურადღებას და ამბობდნენ, რომ ვერცერთ საპასუხისმგებლო ადგილზე ვერ ნახავთ ქართველ ამხანაგსაო. არც პარტკომში და არც სამაზრო აღმასკომში ასეთი არ არის.

ეს ყოვლად დაუშვებელი არისო,—ამბობდა გლეხები,—ნუ თუ საქართველოში არ არის ქართველი კომუნისტი რომ ერთი ჩვენც გამოგვიგზავნონო?

ასე მსჯელობს ბორჩალოს მაზრის ქართველობა. მაგალითისათვის აიღეთ თუ გნებავთ ქართველი ქალები; ისენი იმავე წესით და ადადით ცხოვრებენ, როგორც ასი წლის წინად უცხოვრიათ ჩვენში ქალებს. აქ რომ ქალი გათხოვდება მას უფლება არა აქვს ოჯახში უფროსებს დაელაპარაკოს, იმას მხოლოდ პატარა ბავშვებთან ლაპარაკის უფლება აქვს, სანამ მას თვითონ არ ეყოლება შვილი.

ერთმა მოხუცებულ ქალმა ამის შესახებ ჩემს შეკითხვაზე მიპასუხა:—„როგორ შეიძლება მამაკაცის წინ გაიაროს ქალმა ან და მას სალამი მისცესო“. აი ასეთ დღეში არიან ქალები.

ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს მომიხდა კრების მოწვევა ქალებთან ერთად. ქალთა კრებებს ახდენდა ამხ. მიშა ყაზარიანი, რომელიც ტომით სომეხი არის, მაგრამ ქართული იცის. კრებების მოწყობაში ხელს გვიწყობდა ყველიერი, რადგან აქ ჩვეულებათ ქონიათ ამ კვირაში არაფერი აკეთონ და მხოლოდ ფამაშობით ირთობენ თავს.

ჩვენ ერთად ვახდენთ კრებებს, რადგან მე დამაინტერესა იმ მდგომარეობამ, რომელშიაც ყოფილა აქაური ქალები. ქართულ სოფლებში მამაკაცთან ერთად ქალს არ შეეძლო კრებას დასწრებოდა სოფელ ბალიჯში ყოფილ მენშევიკთა კრებას პირველად დაესწრო მრავალი ქალები. ეს პირველი შემთხვევა იყო რომ კრებას მამაკაცები და ქალები ერთად ესწრებოდენ. გათავდა ჩვენი კრება და გაიმართა ქალთა კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ყაზარიანმა, რომელმაც აუხსნა ქალებს, რომ ისენი მამაკაცის თანასწორნი და თანასწორუფლებიანი არიან, საბჭოთა ხელისუფლების კანონის მიხედვით. ბორჩალოს მაზრის ქართველობას არ ენახა ჯერ ვაჟის და ქალის ერთად ცეკვა და ამ დღეს ესეც მოხდა.

ვისი ბრალია ქალების ასეთი ჩამორჩენილობა? პასუხი ადვილია. ქალთა განყოფილება აქ ძალზე მოისუსტებს: არც აქ ყავთ ქართული ენის მცოდნე მუშაკი. ეს თავზე უნდა იდოს ცენტრალურმა კომიტეტმა და თუ ის იქ ვერ შესძლებს შტატში იყოლიოს ქართული ენის მცოდნე ქალი (სამ. კომიტეტში) მაშინ თბილისიდგან უნდა იგზავნებოდეს დროებით სამუშაოდ ბორჩალოს ქალებში. ეს პირადად მთხოვეს ქალებმაც და კაცებმაც; მთხოვეს: გვიშუამდგომლე, მოგვაქციონ ყურადღებაო. კრებები ხშირად უნდა იმართებოდეს, მით უმეტეს ყოფილ მენშევიკთა და აგრეთვე ქალთა შორის. ეს საჭიროა იმისათვის რათა ქალებმა თავი დააღწიონ მონურ ცხოვრებას.

კრებები გაიამრთა შემდეგ სოფლებში: დუმანისში, ვარდისუბანში, ბალიჯჯში, კაზარეთში, რატევანში, ხატისოფელში და ქვეშაში. ყველგან მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუციები. საერთოდ კრებებზე მოითხოვენ კოწია სულაქველიძის მისვლას და მოხსენებების გაკეთებას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ერთი მოვლენა; თურქულ სოფლებში გავრცელებული ყოფილა მიურიდის სექტა. ამ სექტის წევრებს აქვთ თავიანთი ზნეჩვეულება; მიურიდის წევრს აუცილებლად წევრები უნდა ქონდეს. ეს სექტა ძალზე ფეხმოკიდებული ყოფილა ბორჩალოს მაზრაში. მიურიდი ქალები და მამაკაცები თავს იყრიან ერთად ერთ დიდ ოთახში და იწყებენ დაირაზე ცეკვას, ცოტათი დაღლის შემდეგ ყველანი იხდიან ზედა ტანთსაცმელს და განაგრძობენ ცეკვას. ცეკვა ისე ჩქარა ხდება რომ ყველანი ოფლში იწურებიან; მოქანცულნი სრულიად იხდიან ტანსაცმელს და ამ დროს აქრობენ სანთელსაც რის შემდეგ იწყებენ სქესობრივ კავშირის დაჭერას. შემდეგ ლამპა კვლავ აინთება და ყველანი წავლენ სახლებში.

ალსანიშნავია აგრეთვე რომ მათაც ყოლიათ თავისი წმინდანი აჯი ეფენდი, რომელიც ითვლება მიურიდების ლიდერად და რომელსაც სწირავენ მორწმუნენი როგორც ოთხფეხ საქონელს ისე ფულს. ეს აჯი ეფენდი ცხოვრობს ყაზახის მაზრაში და შესაწირიც იქ მიაქვთ თურმე... ეს სენი თანდათან ვრცელდება და საშიშ ფორმას ღებულობს. ბევრმა მუსულმანმა შემომჩივლა:—„რატომ ზომებს არ ღებულობენ ამის წინააღმდეგო“. ამ მოვლენას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, ანტირელიგიური კომპანიები უნდა ჩატარდეს მუსულმანურ სოფლებში. ამ სექტაში ახალგაზრდობა ხალისით ეწერება რადგან აჯი ეფენდი უქადაგებს სქესობრივ კავშირის თავისუფლებას...

ხელი უნდა შეუწყონ მაზრაში ჟურნალ გაზეთების გავრცელებას. უნდა მოეწყოს მოძრავი თეატრი და სამკითხველოები, უნდა იმართებოდეს ანტირელიგიოზური წარმოდგენები და სხვა, როგორც ეს არის სოფელ სუსთში.

ალსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოება; არც ერთ ქართულ სოფელში აღარ არის მღვდელი. სოფ. მიჯაში ყოფილა მღ. კეთილაძე, რომელიც ქურდობისათვის გაუძევებიათ, სარწმუნეობის მხრივ ყველაზე კარგ მდგომარეობაშია ქართველები. მუსულმანებში და სომხებში ჯერ ჩინებულად გრძნობენ თავს მოლები და ტერტერები.

საერთოდ ბორჩალოს მაზრას მეტი ყურადღება ცენტრიდან უნდა მიექცეს.

აუცილებელია ქართული ენის მცოდნე ქალის გაგზავნა და სამაზრო კომიტეტთან ყოფილ მენშევიკთა ბიუროს გახსნა.

აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და უნდა გაკეთდეს. მიწის ნორმის დარიგება უნდა დაჩქარდეს.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ერთი შემთხვევა:

სოფელ ბალიჯის მასწავლებლებმა გოთუამ და ზაქ. დეკანოზიშვილმა განაცხადეს შემდეგი: ბაშკიჩეტში საკრედიტო ამხანაგობის გამგე ყოფილა ვიღაც ძველი ნიკოლოზის ჩინოვნიკი **მუსა ირად ყულიევი.** დეკანოზიშვილს განცხადება მიუტანია ქართულ ენაზედ დაწერილი. მას არ მიუღია და გაცხარებული უთქვამს თავზედ გადაგახევ

მაგასო, რატომ რუსულად არ არის დაწერილიო. ეს ვაჟბატონი ამღვრეს წყალს და სთესავს შუღლს ხელისუფლებასა და ხალხს შორის. იმ დროს როდესაც ჩვენი დაწესებულებები ყველე ენაზედ იღებს განცხადებებს და სცემს პატივს მცირე ეროვნებათა მოსახლეობას, ასეთი ასქციელი ყოვლად შეუძლებელია. კარგად უნდა გაეშინჯოს კბილი, თუ ვინ ბრძანდება მუსა ირად ყულიევი.

საბჭოთა ხელისუფლება არას დროს არ დაუშვებს ულირსებს საპასუხისმგებლო პოსტზე—და მას ამისათვის უნდა მოეთხოვოს პასუხი. ბაშკიჩეტის ირგვლივ ქართული სოფლებია და მათ ენასაც კარგად უნდა მოპყრობა. კარგი იქნება მუსა ირად ყულიევი ისწავლიდეს ჭკუას და პატივისცემით მოეპყრობოდეს ხალხს.

ასეთი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე ბორჩალოს მაზრის დათვალიერებამ.

**სანდრო ძვიმჯაძე.**

# ახალგაზრდობის საყურადღებოდ

უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდების საზღვარგარეთ გაპარვა მეტად გახშირდა და არ შეიძლება ამან არ ჩაგვაფიქროს.

რით არის გამოწვეული ეს მოვლენა? ან რა აზრი აქვს მას და რა შედეგები მოყვება?

ამ მოვლენის მთავარ მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ბევრი რჩება უმაღლესის სასწავლებლის გარეშე, მათ კი სწავლა უნდათ და მიდიან იქ, სადაც სწავლის საშუალება ექნებათო.

მივიღოთ ეს მოტივები პატივსადებად. სწავლის წყურვილი ბუნებრივია და კიდევ უფრო პატივსაცემია ის ახალგაზრდა, რომელიც მზად არის ყოველგვარი დაბრკოლება გადალახოს მის დასაკმაყოფილებლად.

მოსწავლე ახალგაზრდობა, ეს ჩვენი ქვეყნის მომავალია და მისი ბედით ყველა უაღრესად ვართ დაინტერესებული. ამიტომ ვალდებულად ვრაცხთ თავს მივაწოდოთ ის მასალა რომელიც ხელთ გვაქვს.

საზღვარგარეთ მიმავალმა ახალგაზრდობამ პირველ ყოვლისა უნდა იცოდეს, რომ იქ სწავლა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მატერიალურად სავსებით უზრუნველყოფილია. მუშაობა, პურის ფულის შოვნა და იმავე დროს სწავლა, ისე როგორც ის ხდებოდა წინეთ რუსეთში და ნაწილობრივ მაინც ახლაც ხდება ჩვენში, ყოვლად შეუძლებელია. შეუძლებელია ეს თვით ადგილობრივი მკვიდრისათვის, არა თუ უცხოელისთვის. იქ საზოგადოთ უმაღლესი სწავლა ღარიბი კაცისათვის არ არის ნავარაუდევი. ამიტომ, ფიქრი, ოღონდ ბერლინს ან პარიზს მივაღწიო და მერე როგორმე ვისწავლიო, შემცდარია. დახმარე არავინ არის, არც ქართული ორგანიზაციები და არც ევროპიული. არავის ამის წელი არ აქვს.. არის მხოლოდ ერთი ამერიკული ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ევროპაში მოსწავლე ახალგაზრდობას. მაგრამ უკანასკნელ წლებში მისი დახმარების მიღებაც მეტის მეტად გაძნელდა; ხოლო თვით დახმარების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ამით თავის გატანა შეუძლებელია.

ამრიგად, თუ კაცი სავსებით უზრუნველყოფილი არ არის სწავლის საქმეს ვერ მორთავს და იძულებული იქნება ლუკმა პურისათვის იბრძოლოს. ეს ბრძოლა კი იქ ძალიან მწვავეა. ამ მხრით ყველაზე უკეთესი პირობები დღემდინ პარიზში და საზოგადოთ საფრანგეთში იყო—იქ ფაბრიკა-ქარხნებში ადვილად იშოვიდით მუშის ადგილს და 9—10 საათის მუშაობით თავს გაიტანდით. დღეს ესეც უიმედო ხდება, რადგან ფრანკის მომაგრებასთან ერთად იწყება სამრეწველო კრიზისი და პირველ რიგში, რასაკვირველია, უცხოელებს მოიშორებენ. ინტელიგენტურ შრომაზე კი ოცნებაც არ შეიძლება. სხვა ქვეყნებში კიდევ უარესი პირობებია და უცხოელებს თითქმის არც კი შეუშვებენ.

ასეთ მდგომარეობაში საქმე დამთავრდება იმით, რაც ბევრს ჩვენს ახალგაზრდას უკვე მოუვიდა—გადასვლა რესტორანებში და იქ „მუშაობა“. ეს კიდევ ისეთი მოლიპული გზაა, რომ მაზე დადგომას არც ერთს ახალგაზრდას არ ვუსურვებ...

ასეთია უფრო მოსალოდნელი მომავალი იქით უსალსროდ წასული ახალგაზრდისა, ე. ი. უმრავლესობისა, რადგან ჩვენ ყველა ღარიბი ვართ და იშვიათის ოჯახს შეუძლია ერთს შვილს ასი მანეთი უგზავნოს თვიურად და ამის გარდა სწავლის და ტანსაცმელის ფულიც მიაწოდოს. ასეთები ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია.

ამიტომ ახალგაზრდებმა არ უნდა ჩაიყენონ თავი სახიფათო მდგომარეობაში. უნდა ახსოვდეთ, რომ მათი კულტურული ძალა, უმაღლესი სწავლის მიუღებლადაც დიდი განძია ქვეყნისათვის. ნამეტურ როცა ერი აღორძინების გზას შედგომია.

**ნ. ელიავა.**

# პროფ. პეტრე მელიქიშვილი

ახალ ფეხ-ადგმულს, ხორჩ ქართულ მეცნიერებას ჯერ კიდევ არ მოუშუშებია ის მკვეთრი ჭრილობა; რომელიც მას მიაყენა პროფ. ს. გოგიტიძის გარდაცვალებამ და კიდევ ახალი უბედურება დაატყდა მას თავზე: გარდაიცვალა პროფ. პეტრე მელიქიშვილი.

ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს მას. სხვა რომ არაფერი იყოს, პეტრე მელიქიშვილი ჩვენი კულტურის დულაბის — საქართველოს უნივერსიტეტის პირველი რექტორია. ცნობილი მეცნიერია, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ევროპაში და სხვაგან. 50 წლის განმავლობაში ეწეოდა განსვენებული სამეცნიერო მუშაობას. 81 სამეცნიერო შრომა აქვს დაწერილი სხვა და სხვა ენაზე. 38 შრომა მარტო გერმანულზე; მეცნიერების ისეთი დიდი დარგის, როგორიც არის ქიმია, ვერასოდეს ვერ დაივიწყებს პეტრე მელიქიშვილის ორიგნალურ დიდი ერუდიციით, დაწერილ შესანიშნავ შრომებს. ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიამ ამისათვის აირჩია განსვენებული თავის წევრად. გარდა ასეთი შრომებისა მას აქვს შრომები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის. საკმარისია დავასახელოთ მისი შრომები ახტალის ტალახის შესახებ, ყველისა, ღვინის, მარცვლეულობისა და თითქმის ყოველნაირ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა შესახებ.

პ. მელიქიშვილის მრავალი მოწაფეები გაფანტული არიან სხვადასხვა ქვეყნებში, ბევრი მათგანი უკვე ცნობილი მეცნიერი - პროფესორია. მისი მოწაფეები ჩვენ უნივერსიტეტში, დარწმუნებული ვართ, ღირსეულად განაგრძობენ მის საქმეს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ყურადსაღებია მისი წერილები, რომელიც ეხება საკითხს ყველის წარმოების და მესაქონლეობას. რომ შესაფერისად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ალპიური საძოვრების, ასეთივეა მისი შრომები საქართველოს ვაზის, ჩაის და სხვათა შესახებ.

მე-19 საუკუნემ, საუკუნემ როდესაც ქართველ მეცნიერულ აზროვნებას გასაქანი აღარ ჰქონდა მაინც მოგვცა მრავალი მეცნიერი სხვადასხვა დარგისა. ბუნების მეტყველების მეცნიერებაში კი სამი დიდი პიროვნება... ესენი იყვნენ: აკადემიკოსი ი. რ. თარხნიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, და პეტრე მელიქიშვილი, რომელსაც დღეს გულსტკივილით აბარებს მიწას ჩვენი ჯერ ნორჩი უნივერსიტეტი...

**ვ. მარინელი.**

# პროფ. პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას

23 მარტს, საღამოს 8 საათზე, ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, ჩვენი უნივერსიტეტის პირველი რექტორი, ერთი მისი დამამშვენებელთაგანი, დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი.

ჯერ კიდევ არ შენელებულა ჩვენი მწუხარება, არ შემშრალა ცრემლები ჩვენს თვალზე, პროფ. სიმ. გოგიტიძის გარდაცვალებით გამოწვეული, რომ კვლავ გვიხდება გლოვა და მწუხარება, კიდევ ერთს ჩვენს უდიდეს მოამაგეზე, მცხოვან მეცნიერზე, ღვაწლმოსილ პროფ. პ. მელიქიშვილზე.

თბილისის 1-ლ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ის შედის ოდესის უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, სადაც მან წარჩინებით დაამთავრა ქიმიური დარგი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის სამშობლოში ბრუნდება და იწყებს მასწავლებლობას, ერთ-ერთ თბილისის ქალთა სასწავლებელში.

მაგრამ მისი მაღალი მოწოდება და ნიჭი ამით არ კმაყოფილდება, ის მასწავლებლობას თავს ანებებს და მიემგზავრება გერმანიაში და იწყებს მუშაობას ტიუბინგენის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, და მასთან ისმენს, აგრონომიულ ქიმიის ცნობილ პროფესორ იუსტის ლექციებსაც.

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ 1876 წ. პ. მელიქიშვილი არჩეული იქნა, ოდესის უნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიის ასისტენტად, სადაც ის განაგრძობს მუშაობას, თავისებურ ენერგიით და გატაცებით.

1881 წ. ის იცავს სამაგისტრო დისერტაციას „აკრილოს მჟავების ნაწარმთა შესახებ".

1882 წ. ის მივლინებული იქნა საფრანგეთში სამეცნიერო მუშაობისათვის, სადაც ისმენდა დიდებულ ქიმიკოსის ბერტოლეს ლექციებს.

1884 წ. პ. მელიქიშვილი ოდესაში დაბრუნდა; ის დაბრუნებისთანავე არჩეული იქნა პრივატ-დოცენტად აგრონომიულ ქიმიის კათედრაზე.

1885 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „იზოკროტონ მჟავის ნაწარმთა შესახებ".

1899 წ. მან დასტოვა აგრონომიული ქიმია და გადავიდა წმინდა ქიმიაზე; აქედან იწყება მისი მუშაობა ორგანიულ და არაორგანიულ ქიმიის დარგში.

ამის შემდეგ ის თანდათანობით იხვეჭს სახელს, არა მარტო რუსეთის ფარგლებში, არამედ მის გარეთაც, და 1907 წ. მან მიიღო ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორის სახელწოდება.

1917 წ. ის ბრუნდება საქართველოში და სხვებთან ერთად უდგება სათავეში ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტს.

მაშინ ბევრი მტერი და ორგული ეხვია გარს ჩვენს უნივერსიტეტს; ბევრს მისი არსებობა მხოლოდ „ბოდვა" ეგონა; უნივერსიტეტისათვის ამ დროს საჭირო იყო დიდი სახელი და დიდი ავტორიტეტი, და ამის სრული განსახიერება აწ განსვენებული მცხოვანი მეცნიერი პ. მელიქიშვილი იყო.

დაარსებიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდის ის მხნედ მუშაობდა ჩვენი უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ, და მასთან, ეწეოდა ფართე მეცნიერულ მუშაობას.

ეხლა საქვეყნოდ ცნობილი ახტალის ტალახი მის სახელთან არის დაკავშირებული; ამ ტალახის ქიმიური ანალიზი თავდაპირველად განსვენებულის მიერ იქნა მოხდენილი; მანვე აღნიშნა ამ ტალახის განსაკუთრებული თვისება და მისი წარმოშობითი მიზეზი.

ქართულ ღვინოების ქიმიურად შესწავლას, მხოლოდ ის აწარმოებდა; და ამ მხრივ მან ბევრის გაკეთება შესძლო.

ჯერ კიდევ არ ვიცით, და არ გვაქვს შესწავლილი ჩვენი ხალხის საზრდო-საკვები ნივთიერებანი; ამ მხრივ პირველი ნაბიჯი განსვენებულის მიერ იქნა გადადგმული, და ამ საკითხის შესახებ საკმაოდ მოზრდილი შრომა აქვს გამოცემული.

1923 წ. ჩვენმა უნივერსიტეტმა მას გადაუხადა 50 წლის სამეცნიერო მუშაობისათვის იუბილე; მიმდინარე წელს ის არჩეული იქნა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მისი მეცნიერული მუშაობა უკანასკნელ დღემდის არ შენელებულა; მას უსაზღვროდ უყვარდა მეცნიერება, ისე როგორც დედას შვილი; აკი წიგნიდან მოუვიდა მას თითზე ჭრილობა, რომელმაც სამარეში ჩაიყვანა;—სარეცელზედაც ქიმიის სხვადასხვა გვარ მოვლენებით იყო გატაცებული; მაგრამ სიკვდილმა მოუსწრო და დადუმა სამუდამოდ მაღალმეტყველი მისი ბაგე.

მშვიდობით, დიდო მასწავლებელო და ხალხის მოამაგევ პატივცემულო პეტრე, შენი სახელი უკვდავია, როგორც მეცნიერის, უკვდავია, როგორც ერის მოჭირნახულის და ისე სამარადისოდ წაუშლელი ოქროს ასოებით აღიბეჭდება ჩვენი უნივერსიტეტის კარიბჭეზედ.

ექიმი გრ. კუნჭულია.

# არტურ ლეისტი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მიმდინარე თვის 22-ს გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი, საქართველოს დიდი მეგობარი, მისი კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ღრმად მცოდნე, დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, მეტად პირუთვნელი და ნიჭიერი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი.

— ვინ იყო ის ან რით დაიმსახურა ამ უცხოელმა კეთილშობილმა კაცმა ჩვენში ამ ზომ დიდი სიყვარული და პატივისცემა?

ის იყო ტომით გერმანელი, სილეზიის დედა-ქალაქ ბრესლავის შვილი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლეისტმა კარგად შეისწავლა ლიტერატურა და ხელოვნების თვითეული დარგი, და დაიწყო გერმ. გაზეთებში პუბლიცისტურ წერილების წერა. მაგრამ იგი არ კმაყოფილდება მარტო თავის ერის კულტურის შესწავლით, მას დიდი მისწრაფება აქვს გაეცნოს აგრეთვე სხვა ერების ცხოვრებას, მის ისტორიას და კულტურას, მას განსაკუთრებით უფრო აინტერესებს საზოგადოთ აღმოსავლეთის და კერძოთ საქართველოს შესწავლა. პირველი ცნობა საქართველოს შესახებ მან წაიკითხა პირველათ გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტედტის წიგნში: **,,ათას ერთი დღე აღმოსავლეთში"** და ლეისტმა მტკიცედ გადაწყვიტა თავის კალმის ძალა შეეწირა საქართველოსთვის, რომ ევროპისათვის გაეცნო ეს მშვენიერი კუთხე". და მართლაც ამ ნატვრას მან მალე ხორცი შეასხა: 1884 წ. იგი ესტუმრა საქართველოს ; ის დაუახლოვდა იმ დროის გამოჩენილ მწერლებს: ილ. ჭავჭავაძეს, ივ. მაჩაბელს და სხვებს, რომელთა დახმარებით მან ჩინებულათ შეისწავლა ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურა და ისტორია; მაგრამ არც ეს აკმაყოფილებს ლეისტს, — მას სურს ჩვენი კულტურა გააცნოს გერმანიას და საერთოდ ევროპას; ამ მიზნით მან, პირველმა გადათარგმნა „ვეფხვის-ტყაოსანი", რომელიც გამოსცა დრეზდენში 1890 წელს, ეს იყო ლეისტის პირველი ნაბიჯი, რომლითაც მან გასდვა შემაერთებელი ხიდი ევროპას და საქართველოს შორის. მაგრამ მარტო წაკითხულით და გაგონილით არ კმაყოფილდება ის, საქართველოს შესწავლის საქმეში. ის თვითონ, საკუთარის თვალით, ნახულობს საქართველოს თვითეულ კუნჭულს, დაწვრილებით ეცნობა საქართველოს თვითეულ კუთხის ბუნების სიმშვენიერეს, ხალხის ზნე-ჩვეულებას, ადათს, ხალხურ პოეზიას, ჩვენს ისტორიულ ნაშთებს; ღრმად იხედება საქართველოს გულსა და სულში და ამის

შემდეგ სცემს ახალ შრომას—**„ქართველი ხალხი“**, ამ წიგნით ის აცნობს ევროპას საქართველოს წარსულს ეს წიგნი გადათარგმნილია თითქმის ყველა ევროპიულ ენებზე. ამ შრომას მოყვა კიდევ ლეისტის მრავალი ნაწარმოები: „ვარაპაძიანთ ნინო“, „ვარო“ და სხვა.

საქართველოს ყოველდღიურ ჭირ-ვარამისა და ვითარების გასაცნობათ მისი ინიციატივით აარსებს გერმანულ გაზეთს „კავკაზიშე პოსტე“-ეს, რომლის რედაქტორ - გამომცემლობას თვითონვე კისრულობს; მაგრამ არც ამ საშუალებებით კმაყოფილდება ეს ენერგიით სავსე ადამიანი, მას სურს სავსებით აზიაროს საქართველო ევროპის კულტურას. ამ მიზნით ის ყოველგვარ დახმარებას უწევს ქართველ ახალგაზრდობას, რომელიც გერმანიაში მიემგზავრება სწავლის შესაძენათ; იწვევს გერმანეთიდან ხელოსან ინსტრუქტორებს ჩვენში ტეხნიკის და სხვადასხვა სახის პრაქტიკული ცოდნის გასავრცელებლად, აარსებს გერმანელ - ქართველთა საკულტურო საზოგადოებას, გერმანულ ენის კურსებს და სხვა.

გარდა იმ აუარებელ ხელნაწერებისა, რომელიც განსვენებულს დარჩა გამოუქვეყნებელი, საქართველოს გამომცემლობამ გამოსცა არტურის ნაშრომი **„საქართველოს გული“**, ორ ტომათ. ავტორს მართლა შესაფერისი სახელი მოუნახავს ამ წიგნებისთვის; აქ გადაშლილია საქართველოს მთელი გული: „საქართველოს ბუნება“, „ქართული სოფელი“, „ქართველების ნიჭი“, „ქართული იუმორი“, „ქართული მუსიკა“, ერთი სიტყვით მთელი ქართული სული და აგრეთვე მოთხრობები და აუარებელი ისტორიული მასალები მესამოცე წლების მოღვაწეთა და კულტურული დონეს გასაცნობათ.

ქართველი ერიც არასოდეს არ დაივიწყებს ამ ნაამაგარ კაცს, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულ დარაჯათ იდგა მის კულტურულ ფრონტზე. არტურ ლეისტის სახელი ისეთივე უკვდავი და მარადიული იქნება ჩვენში, როგორც არის მისი თანამედროვე მეგობართა ილიასი, აკაკის და მესამოცე წლების სხვა მოღვაწეთა ხსოვნა.

**გრ. მა—ნი.**

# სამი მასწავლებლის განცხადება

ვისაც ოდნავ მაინც შერჩენია გულწრფელობა და სინამდვილის სისწორით აწონ-დაწონვის შესაძლებლობა, ვინც ფაქტს არ დაამახინჯებს და მას თვალს გაუსწორებს, ვინც ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდებს ჯიუტობას, მან გულახდილად, მთელი ქვეყნის გასაგონათ უნდა აღიაროს, რომ ქართველ ერს თავის მრავალ საუკუნოვან ისტორიაში არასოდეს არ ჰქონებია ეკონომიურ-კულტურულ-ეროვნული აღორძინებისათვის ისეთი სალი და ნათელი პერსპექტივები, როგორიცა მას დღესა აქვს. საქართველოს გასაბჭოებიდან 1921 წლ. 25 თებერვალი, უდიადესი თარილია ქართველი ერის ისტორიაში, აქედან იწყება სრულიად ახალი ეპოქა ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში.

თუ შეადარებთ იმას, რაც იყო საქართველოში 25 თებერვლამდე და რაც არის და ხდება 25 თებერვლის შემდეგ — დაინახავთ წარმოუდგენელ განსხვავებას.

25 თებერვლამდე, ქართველ ერს ქარქაშში ხმალი არ ჩაუგია. მუდამ ომი, ომი და ისევ ომი. მეზობელ ერებთან... შუღლი, მტრობა... 25 თებერვლამდე ჩვენ გვქონდა თითქოს დამოუკიდებელი საქართველო, მაგრამ სინამდვილეში კი ძალზე დამოკიდებული ვიყავით. თავიდან მოვიშორეთ თვითმპყრობელობა, მაგრამ სამაგიეროდ ჩავვარდით უცხო სახელმწიფოთა ხელში. აქ იყო მათი ჯარების ფაქტიური ბატონობა და თარეში. ასეთი მდგომარეობა იყო იმის მიზეზი, რომ მუშათა კლასი სისხლიდან იცლებოდა, ის აუტანელ მდგომარეობაში იყო, როგორც ეკონომიურად ისე კულტურულად.

25 თებერვლამდე არ გვქონია: არც ერთი ახალი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი ელექტრო-სადგური, არც ერთი ახალი არხი... სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო... ერთი სიტყვით არ კეთდებოდა ისეთი რამ, რაც წინ წასწევდა ჩვენს ქვეყანას ეკონომიურად და კულტურულად. 25 თებერვლამდე არ ჰქონდა ადგილი საქართველოში ერის მატერიალური კულტურის ზრდას, მაშასადამე, ის გაყინული იყო ერთ წერტილზე.

1921 წლ. 25 თებერვლიდან, საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ, სურათი სავსებით იცვლება.

ამიერ-კავკასიის ერთა შორის მყარდება ძმური კავში. ისპობა ომი, ხოცვა-ჟლეტა, რასაც მოჰყვა საქართველოს ფიზიკური და ეკონომიურ-კულტურული გაჯანსაღება. საქართველომ მოიპოვა ნამდვილი, რეალური თავისუფლება. სამაგალითოდ განვითარდნენ, საწარმოო ძალები, აღორძინდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მეურნეობა. გაშენდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, შენდება კიდევ ბევრი. იწყება მუშათა რიცხვის საგრძნობი ზრდა, აშენდა და შენდება ელექტრო-სადგურები და სხვა. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიც იზრდება, უმჯობესდება მათი ეკონომიური მდგომარეობა. კოოპერაციის ქსელის წარმოუდგენლად გაფართოვება, განათლების, ჯანმრთელობის დარგებში ვხედავთ უდიდეს მიღწევებს.

ყველა ამის შემდეგ განა ვინმეს, საქართველოს მუშათა კლასის ინტერესების ოდნავ მაინც დამცველს, აქვს უფლება წარსულის დაბრუნებაზე იფიქროს?

და სწორედ ასეთ დროს, როცა გესმის, რომ პარიჟში შედგა ეგრ. წოდ. „ამიერ-კავკასიის განმანთავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის მოქმედებას შეიძლება მოყვეს საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის განმეორებაო. ყოველი ჭეშმარიტი ქართველი, მუშა და გლეხთა ინტერესების დამცველი, თუ ის თავის თავს სოციალისტს უწოდებს, ამ შავ ზრახვებს უნდა შეხვდეს ზიზღით და აღშფოთებით.

ამის შემდეგ, ჩვენის აზრით, ყოველი ინტელიგენტი ვალდებულია სოფლად თუ ქალაქად, ყველას, მუშას თუ გლეხს, ჩააგონოს, რომ აგვისტოს ავანტიურის განმეორება საქართველოში იქნებოდა მთელი ქართველი ერის, მუშათა კლასის და მშრომელი ინტელიგენციის, ყოველმხრივი განადგურება, რაც თავის მხრით ხელს შეუწყობდა მშრომელი ხალხის მოწინაალმდეგე ელემენტების გაძლიერებას.

ყოველი ჩვენგანი რომ გულწრფელად ამოუდგეს გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას ჭირში თუ ლხინში, რომ ყოველ წამს ვიყოთ მზად საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინაალმდეგ საბრძოლველად მუშათა კლასის საბოლოოდ გამარჯვებისათვის მსოფლიო მასშტაბით—აი რას გვავალებს დღევანდელი დღე, აი რას გვავალებს, ჩვენ მომენტი.

ძირს ავანტიურა! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ზუგდიდის პედაგოგიური ტეხნიკუმის მასწავლებლები: **ჯიჯიხია არტემონი, გუგუშვილი ვლადიმერ, ჭაბუკიანი გრიგოლ.**

# ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## თურმე როგორ ვცდებოდი

მთავარი, რაც მახალისებდა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ბრძოლაში, გახლდათ—ამ ხელისუფლების „დღეს თუ ხვალე" დამარცხების რწმენა. მჯეროდა და სხვასაც ვაჯერებდი, რომ რუსეთი საგლეხო მეურნეობის ქვეყანაა, სადაც ძლიერია კერძო საკუთრების პრინციპი, სოციალიზმის მიღწევისათვის კი საჭიროა უაღრესად განვითარებული წარმოება. ამიტომ რუსეთში, როგორც ჩამორჩენილ სახელმწიფოში, სოცაილიზმი ნაადრევია, რომ იგი აუცილებლად უნდა დამარცხდეს მეთქი: აქედან გამომდინარეობდა ისეთი ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ კომუნისტები და კომუნიზმი მალე ისტორიას ჩაბარდება და ჩვენ მიერ ფეტიშად მიჩნეული დემოკრატიზმი გაიმარჯვებსო.

მაგრამ გავიდა დრო მოლოდინი არ გაგვიმართლდა. რღვევისა და დაშლის ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლება უფრო გაფოლადდა, გაკაჟდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი სოციალისტური მშენებლობა შესძლო—კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. საერთაშორისო კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პირობებში, როცა კაპიტალიზმი რღვევის პროცესშია და საბედისწერო გზაზე გადაჩეხილი მისი მესვეურები, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან საბჭოების წინააღმდეგ,—მაშინ ამ უკანასკნელის პირდაპირი სვლა სოციალისტური მშენებლობის საქმეში და ამდენი საქმის გაკეთება თავის ქვეყნის მშრომელთათვის—უთუოდ წარმოადგენს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციისათვის საჭირო პირობების შექმნის მაქსიმუმს...

რაც უფრო უკვირდებოდი საქმეს, მით უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიაა, რომელმაც შესძლო მშრომელთა საკეთილდღეოდ ამდენი გაეკეთებია, როგორც შიგნით ისე გარეთ, საერთო სოციალისტური რევოლიუციისათვის არის კომუნისტური პარტია... ისიც აშკარა გახდა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება წარმოადგენს თუმცა არა დასრულებულ მიზანს, არამედ **საშუალებას** რევოლიუციისა და სოციალიზმის განვითარებისათვის ყველა ქვეყნებში. ყოველი ეს ჩემთვის აშკარა შეიქნა და ამიტომაც მე დავრწმუნდი, რომ შეუძლებელია გავექცეთ საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობის პრინციპს, რადგან, ვაცით, რომ ასეთი გაქცევით ხელს უშლით როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე ყველა სხვა ქვეყნების ჩაგრულთა საბოლოო გამარჯვების საქმეს...

**შოთა გოგუა.**

## ახალი პროვოკაციით ვერ შეგვაშინებენ

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის მწარე გაკვეთილებმა ერთხელ და სამუდამოთ გამოაღვიძა საქართველოს მშრომელი მასები.

მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას ფიქრობს დღეს სამეგრელოს მშრომელი გლეხკაცობა და მშრომელი ინტელიგენცია, მასწავლებლობის სახით, აგვისტოს გამოსვლებისა და ასეთივე ავანტიურის განმეორების შესახებ. როგორ ეპყრობა იგი იმ ჯგუფებს, რომლებიც მისი სახელით და ვითომ მისი კეთილდღეობისათვის აწარმოებენ არალეგალურ მუშაობას.

სამეგრელოში ჩვენ მოგვიხთა სხვადასხვა ადგილებზე მოხსენებების გაკეთება მოსალოდნელი ავანტიურის შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში თვით გლეხობა უშუალოდ იღებდა მონაწილეობას და გულის წყრომას გამოსთქვამდა იმ გარეწარი ადამიანებისადმი, რომლებიც, თურმე, კიდევ ბედავენ აგვისტოს მსგავსი უბედურების მოწყობაზე ფიქრს... ის წყევლა-კრულვით იხსენიებს საზღვარგარეთ გახიზნულ ჟორდანია-რამიშვილის „მთავრობას", რომელმაც თავს მოახვია ხალხს უდიდესი უბედურება და კიდევ ისეთივე უბედურების განმეორებას ცდილობენ საქართველოში...

კამათში მონაწილე ერთი გლეხი ამტკიცებდა, რომ ს. ს.-დ. პარტიას დღეს საქართველოში ნიადაგი არა აქვსო. „დაუშვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდა და მოხთა რესტავრაცია „დემოკრატიული" მთავრობის. რა უნდა გააკეთოს მან, რომელი საკითხი უნდა გადასწყვიტოს? ავიღოთ თუ გნებავთ, მიწის საკითხი: ვის უნდა მისცეს მიწა მან? არავის, მას არასფერი დარჩენია გასაკეთებელი. აიღეთ ქვეყნის აღმშენებლობის რომელიმე დარგი: ს.-დ. პარტიას არც დაუტოვეს რამე გასაკეთებელი კომუნისტებმა. მაშ რა დარჩენია ჩვენში ამ პარტიას? რისა და ვის ინტერესებს ემსახურება იგი? აი ამას ამბობს გლეხი და ეს არ არის მარტო ერთი პიროვნების აზრი. ეს მშრომელი მასის განწყობილებაა.

ხალხი ერთხმად აღიარებს რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მას შეუქმნა ისეთი პირობები, ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, რომლის მსგავსიც საქართველოს არ მოსწრებია.

ის ხმამაღლა, საქვეყნოთ აღიარებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა მას ისეთი პირობები, როცა მას სრული შეძლება აქვს თავისი ეროვნული და კულტურული სახე არა თუ შეინარჩუნოს, არამედ მედგრად წავიდეს წინ პროგრესის გზაზე...

ეს კარგადა აქვს შეგნებული ხალხის მშრომელ მასებს. ის აფასებს ხელისუფლების ასეთ უმაგალითო საალმშენებლო მუშაობას. ის ზიზღით იგონებს იმათ, ვინც ხალხი გააბრიყვა, ვინც მას თავს მოახვია აგვისტოს უბედურება და მზათ არის იარაღით ხელში შეებრძოლოს მსგავსი ავანტიურის განმეორების მსურველებს.

მოქ. ნ. რამიშვილი და მისი ადგილობრივი აგენტები დარწმუნებული ბრძანდებოდენ, რომ მათ მერ გამოსროლილ პროვოკაციის ანკესს ხალხი არ წამოეგება...

**კ. კობახიძე.**

# საქართველოში ვერავის მოატყუილებთ

1924 წლის აგვისტო შავი ასოებით არის და იქნება აღბეჭდილი ქართველ ერის ისტორიაში. მან ისეთი გაკვეთილი მისცა ქართველ ხალხს, რომელიც მუდამ ეხსომება მას.

მერე ვინ არის ამაში დამნაშავე? საზღვარგარეთ გადახვეწილი ჟორდანია-რამიშვილის „მთავრობა". მათ მოამზადეს აგვისტოს აჯანყება, და სრულიად არ დაფიქრებულან იმაზე თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მას ქართველ ხალხისთვის. აჯანყების სიმძიმე დააწვა მშრომელთა ფენებს, ხოლო მისი მომწყობნი-ხელმძღვანელები მიიმალენ. აგვისტოს გაკვეთილებმა გამოაფხიზლა მუშები და გლეხები, გამოერკვა მშრომელი ინტელიგენციაც, თვალები აუხილა ყველას, ყველამ გულწრფელად დაგმო ძველი მენშევიკური გზა და აირჩია საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.

იბადება კითხვა—იქნება შიშით მოხდა ყოველივე ეს?

არა და ათასჯერ არა! ეს მოხდა სრული შეგნებით. დღეს ყველასათვის აშკარაა მენშევიკური პოლიტიკის უვარგისობა. ჩვენ გვახსოვს მენშევიკების ხელისუფლებაც მაგრამ მთელი სამი წლის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა გარდა კინკლაობისა, როგორც შიგნით ისე გარედ. მათ ვერ გაამართლეს მშრომელთა იმედები და ამიტომ შეაქცია მათ ზურგი ყველამ.

ამ დღეებში გაზეთებში ეწერა, რომ მენშევიკები შეუერთდენ ამიერ-კავკასიის ემიგრაციას და პოლონეთის და ევროპის იმპერიალისტების დახმარებით ცდილობენ აგვისტოს განმეორებას. მაგრამ ვიკითხოთ, აყვება მათ ფეხის ხმას ვინმე?

არა. და თუ ვინმე გულუბრყვილომ დაუჯერა მათ, მაშინ ყოველი შეგნებული მოქალაქის ვალია შეაგნებინოს იმათ, ვინც კიდევ ვერ გარკვეულა მენშევიკების დამღუპველ პოლიტიკაში, რომ აგვისტოს განმეორება დამღუპველი იქნება ქართველ ერისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღიმაღლოს ხმა მასწავლებლობამ და დაირაზმოს იმ შავი ღრუბლის წინააღმდეგ, რომელიც იკრიბება ევროპის ცაზე და საფრთხეს უმზადებს მშრომელთა თავისუფლებას.

დავირაზმოთ მშრომელთა ინტერესების დასაცავად!

დარჩელის შვიდწლედის გამგე **რ. ჯალაღონია.**

# ლენინიზმი ერთად ერთი გზაა სოციალიზმისაკენ

ექვსი წლის განმავლობაში ჩვენი ცხოვრების სინამდვილის შესწავლისა და საქმის აწონ დაწონვის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის სწორი გზის სოციალიზმისაკენ მაჩვებელი მხოლოდ და მხოლოდ ლენინიზმია. გარდა ამისა სხვა გზები როგორიცაა ესერიზმი და მენშევიზმი პროლეტარიატს და მშრომელი გლეხობას აშორებს სოციალიზმის გზას...

ვამბობ გულწრფელად, რომ მე ვეკუთვნოდი ესერების პარტიას. მართალია ეს პარტია გამოვიდა დეკლარაციით და მიიღო საბჭოთა პლატფორმა, მაგრამ პირადად მე მაინც, განვიცდიდი იდეიურ მერყეობას. მხოლოდ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურამ ამიხილა თვალები. და ამ დღიდან მოხდა ჩემი პოლიტიკური გარდატეხა...

ამ დღიდან უფრო სერიოზულად ვუკვირდები კომუნისტური ხელისუფლების მუშაობას საქართველოში და ჩემს ზნეობრივ მოვალეობათ მიმაჩნია საქვეყნოდ განვაცხადო შემდეგი:

საბჭოთა ხელისუფლების გარეშე შეუძლებელია მშრომელთა ინტერესების დაცვა. ლენინიზმი ერთად-ერთი გზაა სოციალიზმისაკენ. ვისაც უნდა ლენინიზმის ალორძინება. ქართველ ერს, როგორც პატარა ერს, მხოლოდ ლენინიზმის გზით შეუძლია მიაღწიოს როგორც კულტუროულს, ისე ეკონომიურ განვითარებას. ამიტომ ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია ვურჩიო ყოველ ქართველს, თუ მას სურს თავისი ქვეყნის ბედნიერება, ხელი შეუწყოს კომუნისტურ ხელისუფლებას და მთელი თავის ძალღონით შეებრძოლოს იმათ, ვინც გაბედავენ აგვისტოს ავანტიურის განმეორების ცდას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს მსოფლიო მასშტაბით.

ყოფილი ესერი **იახონ გუჯასძე ურიდია.**

# საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობა

## ბორჯომის საკასრე ქარხანა და მისი ეკონომიური მნიშვნელობა

25 თებერვალს ქალ. ბორჯომში გაიხსნა საკასრე ტკეჩების დასამზადებელი ქარხანა და მარილისში (დიდვაკეში) გრეხილ ავეჯეულობის დასამზადებელი ქარხანა. ჩვენს პრესაში ამის შესახებ იყო ცნობები, მაგრამ მათი ეკონომიურ მნიშვნელობაზედ ძლიერ ცოტა რამ იყო ნათქვამი.

ამ წერილში შევჩერდები ბორჯომის საკასრე ქარხნის ეკონომიურ მნიშვნელობაზე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირისათვის ესე კერძოთ საქართველოსათვის.

კიდევ ძველი დროიდგან რუსეთის ერბოს საექსპორტო საკასრე ტკეჩები მზადდებოდა დანიაში და დანიიდან შემოქონდათ რუსეთში.

ამისდამიხედვით დანიაში ტკეჩების დამამზადებელი ქარხნები თანდათან მტკიცე ნიადაგს პოულობდა, იქ წარმოების ეს დარგი დადგა განსაკუთრებულ საფუძველზე, შექმნა, აგრე ვთქვათ, ტკეჩების ტიპი და მთელ ევროპის ბაზარზე რუსეთის ერბო და კარაქი გადიოდა ამ ტიპის კასრებით.

ამ პირველ ტიპის ტკეჩების გარდა დანიამ შექმნა კიდევ ორი წარჩინებითი ტიპები, ტიპი „ექსტრა“ (სრულიად ერთფეროვანი თეთრი და უკვინძო) და ტიპი „პრიმა“ (ასეთი მხოლოდ 80 მ. გ. უფრო ფართე), გარდა ამისა იქ განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული ნაწარმოების სისუფთავეს და ამის და მიხედვით იქნა გამოგონილი სათანადო მანქანები, იქნა გამომუშავებული ტკეჩის ხელოვნურად გაშრობის წესი და სხვა.

ძველი რუსეთი, თავის შეკვეთებით აცხოველებდა კასრის საწარმოო საქმეს დანიაში და სრულიად არ უწევდა ანგარიშს ასეთივე კასრების დამზადების შესაძლებლობას თვით რუსეთში.

დღემდის მთელ საბჭოთა კავშირში მუშაობდა ორი საკასრე ქარხანა, პირველი ნალჩიკში და მეორე ბათომში, როგორც პირველი, ისე მეორე არ იყვნენ მოწყობილი საჭირო და თანამედროვე მანქანებით და ამის მიხედვით მათ მიერ დამზადებული კასრები სრულიად არ იყო გამოსადეგი საექსპორტოდ და მათი მოხმარება ხდებოდა შინა ბაზარზედ.

ამ გარემოების მიხედვით საბჭოთა კავშირი იძულებული იყო მთელი საექსპორტო კასრები შეეძინა დანიაში და ასეც შვრებოდა, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გვაწოდებდენ მხოლოდ პირველ ხარისხოვან კასრებს, რაც შეეხება „ექსტრას“ და „პრიმას“ მათი მიღება მეტად ძნელდებოდა.

ყოველ წლიურ გვიხდებოდა შემოტანა ერთიდან ერთ მილიონ ნახევარი და, თუ მივიღებთ მხედველობაში რომ თითო კასრის კომპლექტი თავისი ძირებით ღირდა 1 მ. 25 კაპეიკი დანიის ოქროს ვალიუტით, ჩვენ იძულებული ვიყავით ყოველ წლიურად კასრების შესაძენათ დაგვეხარჯა 1.250 ათასი მანეთიდგან 1.875 ათასი მანეთამდის.

რასაკვირველია, დღეს, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოების რკალში ვიმყოფებით, ასეთ გამუდმებითი წლიურ გასავალს შესამჩნევი მნიშვნელობა აქვს საერთო ვალიუტაზედ და მისი აცდენა თანაბრად გაამძლავრებს ჩვენს საიმპორტო საშუალებებს.

რასკვირველია, საბჭოთა კავშირს არ შეეძლო არ მიექცია საჭირო ყურადღება ამგვარ, სრულიად არანორმალურ, მდგომარეობისათვის და თავის დროზედ დაიწყო საჭირო ძიება-გამოკვლევა და 1925 წელში უკანასკნელად შეჩერდა საკასრე ქარხნის ბორჯომის ხეობაში აშენებაზე.

დამთავრებული 1927 წლის დასაწყისში, ბორჯომის ქარხანა მოწყობილია საუკეთესო თანამედროვე მანქანებით, განხორციელებულია სრული მექანიზაცია წარმოების, მასალის მიმდინარეობა ხდება თვით მომქმედ მოწყობილებებით—ტრანსპორტიორებით.

ბორჯომის ხეობის წიფელაც პირველ ხარისხოვანია, ის იძლევა შესამჩნევ პროც. „ექსტჩა“ და „პრიმას“ ტკეჩებისა (25 პროც.), რომლებს ჩვენ ფაქტიურად დღემდის მოკლებული ვიყავით, და რომლის უქონლობა ზიანს აყენებდა ჩვენი კარაქის ექსპორტს.

ბორჯომის ქარხნის ნორმალური (ერთი კომპლექტით მუშაობის პროდუქცია შეადგენს 600.000 კომპ.

კასრს წლიურად და თუ ორი წყება მუშები იმუშავებენ, მოგვცემს 1.200 ათას კომპლექტს. თუ საჭიროება მოითხოვს შესაძლებელი იქნება შემოვიღოთ მუშაობის მე-2 და მე-3 რიგიც (უკანასკნელ შემთხვევაში მივიღებთ 1.600 ათას კომპ.).

გარდა საერთო კავშირის მასშტაბის მნიშვნელობისა, ბორჯომის ქარხანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კერძოთ საქართველოსათვის.

საერთოდ საქართველო ძლიერ მდიდარია წიფლის ტყეებით, მხოლო ღმისი გამოყენება დიდ მასშტაბით დღემდის არ სწარმოებდა.

წიფელა, როგორც საალმშენებლო მასალა, ნაკლებად მიდის, მისგან შპალების დამზადება დღემდე ვერ არის დაყენებული საჭირო ნიადაგზედ, რადგან წიფლის შპალები გაუჟღენთლად ძლიერ ჩქარა ლპება მიწაში (2—3 წლის გნამავლობაში), მხოლოდ მისი გაჟღენთვა დღემდე ვერ მოეწყო დიდ მასშტაბით და შედარებით მასთან დიდი წარჩინება ეძლევა ფიჭვის შპალებს.

გარდა ამისა საქართველოში ერთობ ძნელია ტყეების ექსპლოატაცია, მისი დამუშავება და ალაგზე მიტანა, ძვირი ჯდება და ამის მიხედვით დღემდის წიფელას ძლიერ პატარა ბაზარი ქონდა, კერძოდ ბორჯომის ხეობის წიფელა დღემდის სრულიად არ მუშავდებოდა.

მეორე მხრით ბორჯომის რაიონის გლეხობა, მოკლებულია მოსავლიან მიწებს, მათი სიმდიდრე ტყე—წიფელაა.

დღეიდგან ბორჯომის ხევის წიფელა, როგორც განსაკუთრებული თავისი თეთრი ფერით გამოდის ბაზარზედ დანი[illegible] კასრების მაგიერად. ერთი რიგი მუშაობისათვის საჭიროა დღიურად 2500 კუბ. ფუტი და წლიურად 720 ათასი. კუბიკური ფუტის მოჭრა, რკინის გზაზე მიტანა და რონოდებზედ დაჭვირთვა დაახლოვებით ჯდება 40 კაპეიკი და ამგვარად 300 ათასამდე მანეთი ყოველ წლიურად დარჩება ადგილობრივ გლეხების ხელში და თუ ქარხანას ორი ან სამი რიგი მუშაობა მოუხდა, მაშინ ეს თანხაც ორ-სამჯერ გადიდდება.

გარდა ამისა თვით ქარხნის მუდმივი მუშები ნავარაუდევია 200 კაცამდე ერთმაგ მუშაობისათვის. ამ რიგად ქარხნის საჭიროებების დასაფარავად იმუშავებს არა ნაკლებ 1200 კაცისა და შესაძლოა ეს რიცხვი ავიდეს 3600 კაცამდე.

ზემომოყვანილიდგან ცხადია თუ რა დიდი საქმე გაკეთა ამ ორი წლის განმავლობაში, ბორჯომის რაიონში, საბჭოთა მთავრობამ ბორჯომის საკასრე ქარხნის აგებით და რა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მას როგორც მთელ კავშირისათვის, ისე კერძოთ საბჭოთა საქართველოსათვის.

ინჟენერი ა. კანდელაკი.

## ახალ ქვეყნის შენება

მონგრეული გუმბათი,
ენა მომძვრალი ზარი,
დამბლებული ხატი
წესის ამგები ქარი.
მუშა-ბრძოლის მშვენება,
დროშა ცეცხლში ნატარი,
ახალ ქვეყნის შენება,

—:—

ძველი ქვეყნის ხველება,
მომაკვდავის ხრიალი,
ბერწი დროს გახელება
მიწის ძვრების გრიალი.
ცეცხლი — შვების თავადი,
ცეცხლის ცეკვა, დავლური,
წითელ ნადიმს თამადობს
ჰიმნი პროლეტარული.

დ. თურდოსპირელი.

## გუგულის ხმაზე

გაზაფხულის დასაწყისი..
ზამთრის დიდი მარცხი:
აქ—გუთანი! იქ—სახნისი!
იქით კიდევ—ფარცხი!..

გუგულს სმენით ავედევნე:
„კაფე!.. კაფე!.. კაფე!..“
ოი, შენ კი შემოგევლე,
ყელი ჩაგითაფლე!..

ჩვენც ხომ ვკაფეთ!.. ჩვენ გავკაფეთ,
რაც კი იყო ძველი!
ჩვენ ვიბრძოლეთ!.. ჩვენ ვიმძაფრეთ!—
დაგვრჩა ბრძოლის ველი!..

ახლა მიწას მკერდს რომ ვუხნავთ
და რომ ვავლებთ კვალებს,
შემდეგ კოცნით გადავფურჩქნავთ
ზედ ზურმუხტის თვალებს!..

გარიჟრაჟზე თლილს ალმასებს
მზეს დაასწრებს ზეცა,
აგვანათებს და გვაკისკასებს
ამას... იმას... მეცა...

მისთვის ურევს ხმაში ჩიტი:
„თესე!.. კაფე!.. თესე!..
და დაირხა გულში ჩითი,
გრძნობით ავილესე!..

ჩიტს კვლავ სმენით ავედევნე:
„კაფე!.. თესე!.. კაფე!..
ოი, შენ კი შემოგევლე,
ყელი ჩაგითაფლე!..

ბ. ზომლეთელი.

# ს ა უ ბ ა რ ი

## პროლეტარულ ხელოვნებაზე

აიღეთ ლამაზი ჩარჩო. როგორიც სურათიც გენებოსთ, ისეთი ჩასვით შიგ,— ყველას მოერგება, ყველას დაამშვენებს. ზოგი ამგვარადვე უყურებს ხელოვნებას: იყოს მხოლოდ ლამაზი ფორმა და შიგ ყოველგვარი შინაარსი მოთავსდებაო. გამიგონია და წამიკითხავს კიდეც: მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, თუ რასა სწერ, არამედ იმას, თუ როგორა სწერო.

შინაარსის სადა ფორმის განცალკევება, განწევრება შეუძლებელია: ყოველი შინაარსი თავის ფორმას თხოულობს, ყოველი ფორმა კიდევ—თავის შინაარსს.

რა გამოვა მაგალითად გაფრინდაშვილის ან გვეტაძის, ნადირაძის რომელიმე ლექსი შოთას შაირში რომ ჩავსვათ? ლექსი დაჰკარგავს უსათუოდ თავის შინაარსს,—სიმბოლიზმს სული ამოჰხდება.

შოთას რომელიმე ტაეპს ასონანსები რომ დაჰკიდოთ ტაეპის შინაარსი უსათუოდ ფერს იცვლის, გადასხვანაირდება.

შინაარსსა და ფორმას შორის მეტად მტკიცე, ორგანიული კავშირი არსებობს და ამ გარემოებას სრულებით არ უწევს ანგარიშს თანამედროვე ქართული პოეზია, განსაკუთრებით კი პროლეტრული პოეზია.

როდესც ჩვენ საქმე გვაქვს ახალი ფორმების ძებნასთან, უსათუოდ უნდა მივმართოთ წარსულს და ის ბევრ რასმე გვასწავლის. იყო დრო, როდესაც ნორჩი და ძარღვ ბაგარი ბურჟუაზია იბრძოდა ფეოდალური წყობილების დასამხობად და იმის ნანგრევებზე ახალი ცხოვრების შესაქმნელად. ბურჟუაზია მაშინ შეიარაღებული იყო აღფრთოვნებით, გატაცებით, ცეცხლითა და მახვილით.

ფეოდალურ ცხოვოებას მისი ნელი, ზანტი ტემპით შეეფერებოდა რომანტიზმი ხელოვნებაში.

რა დაუპირდაპირა მებრძოლმა ბურჟუაზიამ ფეოდალების რომანტიზმს? რეალიზმი.

ძირს ცალიერი ოცნება! გაუმარჯოს სინამდვილეს. სიცხადეს!

**აი რა გაისმოდა მაშინ.**

როდესაც საქართველო ურმითა და კამეჩებით მიემგზავრებით, რომანტიკა აუცილებელია, ერთად ერთი ხსნაა.

ხოლო როდესაც უსწრაფეს ავტომობილით მიჰქრიხართ, მაშინ რომანტიკა დამღუპველია; სინამდვილე ერთის წუთითაც არ უნდა გაუშვათ ხელიდან, თორემ სადმე გადიჩეხებით, სანამ ბურჟუაზია მართლაც ახალ ცხოვოებას ჰქმნიდა და იმედით აღჭურვილი წინ მიისწრაფოდა, მას რეალიზმის დროშა ხელიდან არ გაუგდია.

როდესაც ბურჟუაზია დაბერდა, გამოიფიტა და იმის წინ აღიმართა სურათი დამარცხებისა და სულ სხვა ცხოვრების შექმნისა, იმის წინ წამოიჭიმა მებრძოლი პროლეტარიატი, ბურჟუაზიისათვის რეალიზმი, სინამდვილე საშინელი გახდა და მან თავი შეაფარა სიმვოლიზმს. რა არის სიმვოლიზმი!

შინაგანი განწყობილება ბურჟუაზიისა, რომელსაც ყველგან თან დასდევს დამარცხების შიში და მოსვენებას არ აძლევს. ამ განწყობილებას საუცხოვოდ გამოჰხატავს, როგორც შინაარსი, ისე ფორმა სიმვოლისტური ხელოვნებისა.

შიშით შეპყრობილი ადამიანი მოჩვენებებში, ლანდებში სცხოვრობს; მისი არსება გაორებულია. ის ბევრჯერ მიეცემა სასოწარკვეთილებას, უიმედობას, ჰფიქრობს თავის მკვლელებზე. სინამდვილეს უარჰყოფს, გაურბის, ღვინოში ეძებს თავდავიწყებას; მის თვალში მთელი ქვეყანა თითქოს სნეულებით, მახინჯებით, თავის მკვლელებით არის სავსე. აქედან წარმოიშობა ერთის მხრით ბოგემა, მეორეს მხრით ხოტბა სიფილისის, ჭლექის, ლოთობის, თვითმკვლელობის, ერთის სიტყვით ყოველივე იმისი, რაც სინამდვილეს ასხვანიერებს, აორეულებს.

ამის მზგავსია შინაგანი განწყობილება კლასისა, რომელიც გრძნობს თავის დაძაბუნებასა და აღსასრულს, რომელსაც სინამდვილე აშინებს და აფრთხობს.

როდესაც ასეთი განწყობილება პოეზიაში გადადის, ის ეძებს თავის შესაფერ ფორმას ნაპირებ გადატეხილი სტრიქონები, დარღვეული მეტრი, არეული რიტმი, ასონანსები, დისონანსები საუცხოვო ფორმაა გზააბნეულ კლასისა, რომელსაც შინაგანი სიმშვიდე და წონასწორობა დაუკარგავს, სასოწარკვეთილებას მისცემია და ლანდებსა, მოჩვენებასა და ორეულებში სცხოვრობს.

აიღეთ შოთას რითმა: ძლიერითა—მონაბერითა, ფერითა—მიერითა.

აქ ერთაიგივეობაა დაცული დაბოლოებაში „ერითა“; ეს არის რითმა.

აიღეთ ახლა გაფრინდაშვილი (სახელგამი 26 წ.) შეხვდებით: საამბოროთ—ბოროტს, მზვერავთან—დაგვიბერავდა, რაინდს—მაინც და სხვ.

ავიღოთ მაშაშვილის ლექსები (სახელგამი 27 წ.) აქ წაიკითხავთ: ტივი—თბილისს, გაწვევა—ნაწვიმარი, მოხველი—ოხერი, პროსპექტს—მოსპეს და მრავალი სხვ.

აქ ერთი და იგივეობისა მხოლოდ მოჩვენებაა, რითმა კი არ არის დაცული, არამედ რითმის გაორებაა; ერთმანეთის მზგავსი ბგერა უცებ მოგვაჩვენებსთ რითმას, რომელიც მყისვე ჰქრება.

ასონანსებმა და დისონანსებმა მეტად გაამდიდრეს ლექსი და დიდი სილამაზე შეიტანეს შიგ, მაგრამ ამ ასონანსებსა და და დისონანსებს თავისი შინაგანი აზრი აქვთ და თავისი ალაგი, როდესაც იმათ მიმართავენ სიმვოლისტები, გასაგებია: მათი შემოქმედების შინაარსის ასეთი ფორმა საუცხოვოდ შეეფერება. მაგრამ როდესაც მათ მიმართავს გაშლილი ხელებით პროლეტარული პოეტი, ასეთი ფორმა სრულებით არ შეეფერება იმის შემოქმედების შინაარსს.

ბეტჰოვენის სამგლოვიარო მარში საუცხოვო და დიდებულია, მაგრამ მტერზე იერიშის დროს მისი დაკვრა სიგიჟეა. თუ დაუკვირდებით ჩვენს პროლეატრულ პოეტებს, დარწმუნდებით, რომ ფორმის მხრივ ისინი უფრო უკიდურესი სიმვოლისტები არიან, ვიდრე თვით სიმვოლისტები.

გადაშალეთ მაშაშვილი, ლისაშვილი, კარლო კალაძე, კონსტ. ლორთქიფანიძე, სამსონიძე, ფეოდოსიშვილი, ნაროუშვილი—ყველა სიმვოლისტებსა ჰბაძავს ფორმაში.

როდესაც დრო ცეცხლის რაშებით მიჰქრის და ყოველ დღეს წლის საგზალი მოაქვს, მაშინ ძნელია ახალი ფორმების ძიება. ახალმა აზრმა ძველს უნდა წაართვას სამოსელი, გადიცვას საჩქაროდ და დაედევნოს გაქანებულ დროს.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძველიც არის და ძველიც. ბურჟუაზიულ ხელოვნებას ორი ხანა აქვს—ხანა ახალგაზრდული გატაცებისა, როდესაც ბურჟუაზია ფეოდალურ წყობილებას ანადგურებდა და ახალსა ჰქმნიდა,—და ხანა დაძაბუნებისა, როდესაც შიშით შეპყრობილი ბურჟუაზია პროლეტარიატის იერიშებს იგერიებს სასოწარკვეთილი.

რაკი ძველი ფორმა ჯერ-ჯერობით აუცილებელია, დღევანდელ დროს უფრო შეეფერება ფორმა პირველი ხანისა, ვიდრე მეორესი.

ეს გახლავთ სოციალიზმი.

ისედაც არსებობს მზგავსება—გარეგნული მაინც—ბურჟუაზიის რევოლიუციონურ ხანასა და დღევანდელ დროს შორის. იქაც რევოლიუციონური აზრი, სიტყვა და მოქმედება,—აქაც;

იქაც უსაზღვრო აღფრთოვანება და გატაცება,—აქაც; იქაც ბრძოლა ძველთან,—აქაც;

იქაც ძველი დრომოჭმული წყობილების განადგურება,— აქაც;

იქაც პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლა ერთი კლასიდან მეორე კლასის ხელში რევოლიუციის საშუალებით,—აქაც.

იქაც სრულებით ახალი საზოგადოებრივი წყობილების შენება,—აქაც.

რა თქმა უნდა შინაარსი და მიზანი ბურჟუაზიული და პროლეტარული რევოლიუციისა სრულებით სხვადასხვა არის, ხოლო ერთგვარი მზგავსება არსებობს და ამიტომ პროლეტარულმა ხელოვნებამ უნდა ისარგებლოს რევოლიუციონური ბურჟაუზიის ხელოვნების ფორმით.

დღევანდელი დრო წარმოადგენს უდიდესი ბრძოლის უდიდეს ხანას. მშრომელი ხალხის მთელი არსებობა, მთელი ნერვები, მთელი კუნთები, მთელი აზროვნება დაჭიმულია მძაფრად. სინამდვილის სწორი ცოდნა, სწორად შეფასება, სწორად გაზომვა მისთვის გამარჯვების თავდებია.

კოლექტიური მოქმედება, კოლექტიური ნებისყოფა დამყარებული უნდა იყოს სინამდვილის ღრმა ცოდნაზე.

ყოველივე ეს ხელოვნებაში გადატანილი წარმოადგენს რეალიზმს შინაარსით, რეალიზმს ფორმით.

მუშა პოეტები გრძნობენ ამას და მათს სიმვოლიზმს არავითარი ადგილი არ აქვს. გადაათვალიერეთ მათი ალმანახი „მიზანი“ № 1 და 2. მე აქ წავაწყდი ერთად ერთ მარტივ ასონანსს მეორე ნომერში (დევიძის ლექსი „თებერვალი):მშრომელის—მდომელი.

ავიღოთ შაქრო ნავთლუღელის ლექსების ტომი; სიმვოლისტური ფორმა სრულებით განდევნილია. სხვა პროლეტარული პოეტების შემოქმედებაში კი სიმვოლიზმს არა თუ ფორმაში, შინაარსშიაც კი შეხვდებით.

**ივ. გომართელი.**

# წერილები პროვინციიდან

## ჩხარის რაიონი (შორაპნის მაზრა)

ოთხ მარტს შესდგა ჩხარის რაიონის ყოფილ მენშევიკთა (ახალგაზრდების) და უპარტიოების გაერთიანებული კრება. საერთაშორისო მომენტზე და ახალგაზრდათა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. კუპრაშვილმა. მომხსენებელმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საზღვარგარეთ გახიზნულ ქართულ ემიგრაციის და მათ აქაურ აგენტების ცდას კვლავ მოახვიონ ქართველ ხალხს აგვისტოსებური ავანტიურა. ამხ. კუპრაშვილის შემდეგ სიტყვით გამოვიდენ ძველი რევოლიუციონერები — გლეხები და სასტიკად დაგმეს ემიგრაციისა და მისი აქაური აგენტების პოლიტიკა. ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩხარის რაიონის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება თანამედროვე მომენტზე და ქართულ ემიგრაციის ავანტიურის პოლიტიკის შესახებ ადგენს: საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა რევოლიუციონურ ბრძოლას რუსეთის მშრომელ ხალხთან ერთად. საქართველოს მშრომელთა დაპირისპირება საბჭოთა რუსეთის რევოლიუციონურ მოსახლეობის წინააღმდეგ ყოვლად დაუშვებელი და დამღუპველია ჩვენი მშრომელი ხალხისათვის. ჩვენი ყოფილი ბელადების მიერ მოწყობილი 1924 წლის აგვისტოს აჯანყება უდიდესი დანაშაულია ქართველი ხალხის წინაშე. ნაცვლად გასულ შეცდომის გამოსწორებისა, ჩვენი ემიგრაცია განუწყვეტლივ მუშაობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რაც ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია, ისინი ცდილობენ ავანტიურაში ჩაითრიონ ქართველი ხალხი. ემიგრაცია თავისი პოლიტიკით ხელს უშლის ქართველ ხალხს კულტურულ - ეკონომიურ აღმშენებლობის საქმეში.

ვიღებთ, რა მხედველობაში ყოველივე ამას, ჩვენ სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ ემიგრაციას ასეთი ნაბიჯებისათვის და მოუწოდებთ საქართველოს მშრომელთ ერიდონ ყოველგვარ პროვოკაციას და ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ქართველი ხალხის კულტურულ ეკონომიური განვითარების საქმეს“.

იმავე მოხსენებით გამოვიდა ამხ. კუპრაშვილი **ს. თერჯოლაში** ახალგაზრდათა და უპარტიოთა გაერთიანებულ კრების წინაშე. დამსწრე საზოგაოებამ აღშფოთება გამოსთქვა მოსალოდნელი ავანტიურის გამო და მიიღო შესაფერი რეზოლიუცია, რომელითაც დაგმო ემიგრაციის ლიდერების პროვოკაციული ნაბიჯები.

**დამსწრე.**

## ქ. ფოთი

8 მარტს შესდგა ყულევის ყოფ. მენშევიკთა საერთო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ისიდ. ლომთათიძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ნაბიჯები. სთქვა, რომ ემიგრაციის ლიდერები ქართველი ხალხის ბედს უკავშირებენ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და საბჭოთა კავშირს შორის მოსალოდნელ გართულებას და მით საფრთხეს უმზადებენ ჩვენს ქვეყანასო.მრავალი ორატორები ერთსულოვნათ გაილაშქრენ ემიგრაციის ლიდერების პოლიტიკური ნაბიჯების წინააღმდეგ, რის შემდეგაც მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიც დამსწრე საზოგადოება გმობს მათ მოქმედებას და ფიცსა სდებს იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეებრძოლოს იმათ, ვინც გაბედავენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას.

**ყულეველი**

**სარედაქციო კოლეგია**

ალმკომისს სტამბა, კამოს ქუჩა, 68.